

ბიულეტენი #40

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II - ქართული ტრადიციული გალობის მოამაგე

პატრიარქის ნათლულთა გუნდი „საგალობელი“

ქართული მუსიკის სახლი ლონდონში

ქალთა ტრადიციული მუსიკის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი „ნანინა 2026“

ქართული ფოლკლორის საარქივო მასალების კატალოგიზაციის პროექტი

ერთი უცხოური ანსამბლი

ეთნოგრაფიული ანსამბლი „სუიტუ სიევას“ ლატვიიდან

ქართული ტრადიციული მუსიკის მოამაგეები

მიხეილ შავიშვილი

ერთი რეგიონული ანსამბლი

ქალთა ანსამბლი „რეხეული“ გურიიდან

ტრიო „ნანინა“ ფინეთში

უცხოური მრავალხმიანობა

კალაპარის უდაბნოს ბუშმენების პოლიფონია

ანსამბლ „იალონის“ მიერ აჟღერებული ღვთისმშობლის პარაკლისი სრულიად გალობით

ეთნოგრაფიული წერილები

ბესარიონ ნიჟარაძე „სვანების საიქიო“ (ნაწილი 1)

ბარბარობის ტრადიცია საქართველოში

სიმღერა „ბარბალ დოლაშ“

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ივნისი, 2026

თბილისი

სიახლეები
საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება
(იანვარი-ივნისი, 2026)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

- 20.04.2026** - ლონდონში ნინო კალანდაძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.
- 27.04-8.05** - თბილისში თბილისის საგუნდო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა.
- 6-8.05.2026** - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ქალთა ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ნანინა 2026“ გაიმართა.
- 9-12.05.2026** - თბილისში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-10 ეროვნული კონკურსი ჩატარდა.
- 14-15.05.2026** - სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ მანანა ანდრიაძის სახელობის სტუდენტთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუსიკოლოგიისა და ეთნოლოგიის პრობლემები“ გაიმართა.
- 18-23.05.2026** - აჭარაში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა ჩატარდა.
- 27.05.2026** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...

- 3.02.2026** - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანსამბლ „სათანაოს“ სოლო კონცერტი გაიმართა.
- 7.02.2026** - ბარში „დასტა“ ანსამბლ „იალონის“ და ვასო კორნიენკოს კონცერტი გაიმართა.
- 10.02.2026** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ილიაუნის ხალხური სიმღერის გუნდის საანგარიშო კონცერტი გაიმართა.
- 15.02.2026** - წნორში ანსამბლ „იალონის“ კონცერტი გაიმართა.
- 28.02.2026** - სოფელ ქვემო ალვანში ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
- 1.03.2026** - თელავში ანსამბლ „დიდგორის“ კონცერტი გაიმართა.
- 12.03.2026** - გორში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გუნდისა და სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.
- 15.05.2026** - აბაშაში ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
- 16.05.2026** - „სკენეში“ ანსამბლ „მჭელის“ კონცერტი გაიმართა.
- 18.05.2026** - თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში ანსამბლ „მარგალიტის“ კონცერტი გაიმართა.
- 23.05.2026** - რუსთაველის თეატრში ანსამბლ „აფხაზეთის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
- 24.05.2026** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-10 ეროვნული კონკურსის გალა კონცერტი და დაჯილდოება გაიმართა.
- 27.05.2026** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მუსიკის საღამო გაიმართა.
- 30.05.2026** - ყვარელში ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
- 31.05.2026** - წნორში ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
- 31.05.2026** - ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ანსამბლ „მართვეს“ სოლო კონცერტი გაიმართა.

31.05.2026 – „სკენეში“ ანსამბლ „მჭელის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

1.06.2026 - გურჯაანში ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

3.06.2026 - თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში ეროვნულ სასახლეში ქართული ტრადიციული მუსიკის საღამო გაიმართა.

4.06.2026 - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოება და გალა კონცერტი გაიმართა.

4.06.2026 - ანსამბლმა „სათანაომ“ ბორჯომში სოლო კონცერტი გამართა.

5.06.2026 - რუსთაველის თეატრში ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრ „მთიების“ სოლო კონცერტი გაიმართა.

6.06.2026 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.

6.06.2026 - ყვარელში „ახალი ზანას“ გუნდის სოლო კონცერტი გაიმართა.

7.06.2026 - თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ანსამბლ „რუსთავის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

8.06.2026 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.

9.06.2026 - ანსამბლმა „იალონმა“ შატო მუხრანში სოლო კონცერტი გამართა.

10.06.2026 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.

13.06.2026 - ანსამბლმა „იალონმა“ კიკეთის „ფერმაში“ სოლო კონცერტი გამართა.

13.06.2026 - წყალტუბოში იმერეთის სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.

15.06.2026 - ბორჯომში ბორჯომის სალოტბარო სკოლის კონცერტი გაიმართა.

18.06.2026 - ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კირიალესა“ საანგარიშო კონცერტი გამართა ა. ერქომაიშვილის სახელობის სახელობის დარბაზში.

20.06.2026 – მიწისქვეშა თეატრში „სკენე“ ანსამბლ „მჭელის“ კონცერტი გაიმართა.

21.06.2026 - საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში პატრიარქის ნათლულთა გუნდის „საგალობელი“ სოლო კონცერტი გაიმართა.

21.06.2026 - მაგალობელ-მომღერალთა გუნდმა „ფერხისა“ კულტურის ცენტრ „მუზაში“ უმცროსი თაობების საანგარიშო კონცერტი გამართა.

21.06.2026 - თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი გაიმართა კახელი ეთნოფორების მონაწილეობით, რომელიც მომღერალ ჯემალ ჩოთალიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

25.06.2026 - საგარეჯოს კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ სოლო კონცერტი გაიმართა.

30.06.2026 - ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გუნდმა სოლო კონცერტი გამართა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

14-18.01.2026 - Erasmus + პროგრამის „იუნესკოს კულტურული სივრცეების ქსელის ციფრული განზომილება“ ფარგლებში იტალიის კუნძულ სარდინიაზე პროექტის პარტნიორების მეოთხე შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.

18.02.2026- ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში წიგნის „აჭარული საუნჯე“ პრეზენტაცია გაიმართა.

19.02.2026 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანზორ ერქომაიშვილისა და თამარ მამალაძის საფოსტო მარკების წარდგინება გაიმართა.

23-25.02.2026 - გალობის უნივერსიტეტში ბერძენი ეთნომუსიკოლოგების - ზოი დიონისიუსა და ალექსანდრა ბალანდინას ლექციები ჩატარდა.

4-6.03.2026 - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიის მიმართულებით მასტერკლასები ჩატარდა.

11-15.03.2026 - ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა კემბრიჯსა და ედინბურგში ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა.

16.03.2026 - გალობის უნივერსიტეტში ჭიბონის ოსტატის, თემურ არძენაძის მასტერკლასი გაიმართა.

17.03.2026 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სანოტო კრებულის „სიმღერები ანსამბლ „ნანინას“ რეპერტუარიდან“ პრეზენტაცია გაიმართა.

22.04.2026 - გალობის უნივერსიტეტში ლუარსაბ ტოგონიძის ლექცია „ქართული გალობა ათონის წმინდა მთაზე (XIX-XXსს)“ გაიმართა.

27.04.2026 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ეთნომუსიკოლოგ მაია გელაშვილის წიგნის „მხიარულ-ბრაზიანი ბატონები“ პრეზენტაცია გაიმართა.

27-29.04.2026 - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გურული ცეკვის მასტერკლასები ჩატარდა.

29.04.2026 - გალობის უნივერსიტეტში ტრისტან სიხარულიძის მასტერკლასი გაიმართა.

10.05.2026 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში წიგნის - „ტრისტან სიხარულიძე - გურული სიმღერის დიდოსტატი“ პრეზენტაცია გაიმართა.

17.05.2026 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში აუდიოალბომის - „გურული სიმღერები - რეზული მჟავანაძე“ პრეზენტაცია გაიმართა.

1-2.06.2026 - ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა პოლონეთის ქალაქ კრაკოვში.

გასტროლები

24.01.2026 - ანსამბლმა „მარგალეფი“ კაუნასის ფილარმონიაში (ლიეტუვა) სოლო კონცერტი გამართა.

12-18.02.2026 - ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის რამდენიმე ქალაქში.

19-21.02.2026 - ანსამბლი „ერისიონი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ესპანეთის ქალაქებში.

28.02-01.03.2026 - ანსამბლი „სათანაო“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ინდოეთში.

8-18.05.2026 - ანსამბლი „სათანაო“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ბელგიაში.

13.05.2026 - ანსამბლმა „რუსთავმა“ სტოკჰოლმში სოლო კონცერტი გამართა.

14-25.05.2026 - ანსამბლი „გურჯაანი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ლატვიაში, ლიეტუვასა და ესტონეთში.

15-29.05.2026 - ანსამბლი „ლალხორი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის ქალაქებში.

16-17.05.2026 - ანსამბლმა „მარგალეფი“ ტალინში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.

23-24.05.2026 - ანსამბლმა „შავნაბადაძე“ ესპანეთის ქალაქებში - ბარსელონასა და მადრიდში კონცერტები გამართა.

28-31.05.2026 - ანსამბლი „იალონი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ავსტრიაში.

4-7.06.2026 - ანსამბლი „იალონი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ლიეტუვაში.

4-7.06.2026 - ანსამბლი „რეხეული“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ლიეტუვაში.

5.06.2026 - ანსამბლმა „მარგალეფი“ ჰელსინკში კონცერტი გამართა.

5.06.2026 - ანსამბლმა „აფხაზეთი“ პრაღაში სოლო კონცერტი გამართა.

11.06.2026 - ანსამბლმა „ერისიონმა“ პეკინში კონცერტი გამართა.

13-21.06.2026 - ანსამბლი „ბასიანი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა იტალიის ქალაქებში.

25-28.06.2026 - ანსამბლი „დიდგორი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პორტუგალიაში.


26.06-2.07.2026 - ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი „ნანინა“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ლატვიაში.

ექსპედიციები

4.04.2026 - ეთნომუსიკოლოგი მაია გელაშვილი ექსპედიციაში იმყოფებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში

გამოცემები

ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გამოსცა
სასწავლო დანიშნულების სანოტო კრებული
„ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა“



„ფოლკლორულმა საქართველომ“
გამოსცა აუდიოალბომი
„გურული სიმღერები - რეზული მყავანაძე“

მოამზადა სოფიკო კოტრიკაძემ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – ქართული ტრადიციული გალობის მოამბე



2026 წლის 17 მარტს გარდაიცვალა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ილია II. იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1977 წელს, 44 წლის ასაკში გახდა. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინსტიტუტად იქცა. ქართული რელიგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მოღვაწეობის ფარგლებში, პატრიარქს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ტრადიციული გალობის აღორძინებასა და პოპულარიზაციაში.

ქართული საეკლესიო გალობა საქართველოს სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში იგი არაერთი განსაცდელის წინაშე დამდგარა, თუმცა განსაკუთრებული დარტყმა საბჭოთა ეპოქაში მიიღო, როდესაც ეკლესიური ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიზღუდა

და ტრადიციული გალობის პრაქტიკული არსებობა თითქმის შეწყდა. XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ქართული გალობის აღორძინება სწორედ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოღვაწეობას უკავშირდება.

პატრიარქის ძალისხმევით, ქართული გალობა არა მხოლოდ დაბრუნდა ეკლესიურ ცხოვრებაში, არამედ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კულტურულ მოვლენადაც იქცა.

ილია II ახალგაზრდობიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საეკლესიო მუსიკას. მისთვის ქართული გალობა იყო არა მხოლოდ მუსიკალური მოვლენა, არამედ ეროვნული იდენტობის, მართლმადიდებლური სულიერებისა და ისტორიული მეხსიერების მნიშვნელოვანი გამოხატულება.

პატრიარქის მრავალ გამოსვლაში ხაზგასმულია, რომ ქართული გალობა ქართული ეკლესიის თვითმყოფადობის განუყოფელი ნაწილია. მისი აზრით, გალობა, ისევე როგორც ენა, ეროვნულ-კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანესი მატარებელია. სწორედ ამიტომ იგი მუდმივად უჭერდა მხარს როგორც საგალობლების კვლევას, ისე მათი პრაქტიკული შესრულების აღდგენას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მხარდაჭერა იმ მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიმართ, რომლებიც საბჭოთა ეპოქის მიწურულს და შემდგომ წლებში ქართული გალობის აღდგენის საქმეში იყვნენ ჩართულნი.

1980-იანი წლების ბოლოდან საქართველოში დაიწყო ეროვნული და ეკლესიური ცხოვრების გამოცოცხლება. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პირველი გუნდები, რომლებმაც ტაძრებში ტრადიციული ქართული გალობის შესრულება განაახლეს.

მნიშვნელოვანი იყო თბილისის ანჩისხატის ტაძრის ვაჟთა გუნდისა და ჯვრის მამის ტაძრის ქალთა გუნდის საქმიანობა, რომლებმაც პრაქტიკაში დააბრუნეს ტრადიციული მრავალხმიანი გალობა.

ამ პროცესებს პატრიარქი თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს და აქტიურად უწყობდა ხელს. მისი მხარდაჭერის გარეშე ქართული გალობის აღდგენა გაცილებით რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა.

ქართული გალობის ისტორიაში გარდამტეხ მოვლენად იქცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2003 წლის 18 აგვისტოს კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ილია II. განჩინებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს ეკლესიაში კანონიკური გალობა იყო და არის მრავალხმიანი ქართული ტრადიციული გალობა. ასევე განისაზღვრა, რომ იგი სავალდებულოდ უნდა შესრულებულიყო ყველა ქართულ ტაძარში.

სინოდის გადაწყვეტილებით, ტაძრებს დაევალებათ რუსული, ევროპული და ბიზანტიური საგუნდო პრაქტიკის ეტაპობრივი ჩანაცვლება ქართული ტრადიციული გალობით. აღნიშნული გადაწყვეტილება ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან პირველად თანამედროვე ეპოქაში ქართული გალობა არა მხოლოდ კულტურულ მემკვიდრეობად, არამედ კანონიკურ საეკლესიო ნორმად გამოცხადდა.

ქართული საეკლესიო გალობის ეკლესიაში დაბრუნების პროცესი უშუალოდ უკავშირდება უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის, მოღვაწეობას. საბჭოთა ათეისტური რეჟიმის პირობებში ქართული საგალობლო ტრადიცია თითქმის სრულად იყო განდევნილი საეკლესიო პრაქტიკიდან. მოქმედ ტაძრებში ძირითადად რუსული მრავალხმიანი საგუნდო ნაწარმოებები სრულდებოდა, ხოლო ქართული გალობის ცოცხალი ტრადიცია მხოლოდ ცალკეული მაგალობლებისა და მკვლევრების ძალისხმევით იყო შემორჩენილი.



1980-იანი წლების ბოლოს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თბილისის ანჩისხატის ტაძარში ჩამოყალიბდა ვაჟთა გუნდი, რომელსაც სათავეში ედგა **მალხაზ ერქვანიძე**. სწორედ ამ გუნდმა პირველად დაიწყო ნოტირებული ქართული საგალობლების სისტემური შესწავლა და ღვთისმსახურებაში მათი პრაქტიკული შესრულება. ანჩისხატის გუნდმა საფუძველი ჩაუყარა ქართული გალობის თანამედროვე აღორძინებას და მრავალწლიანი მუშაობის

შედეგად საზოგადოებას გააცნო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლების ნიმუშები.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე **ჯვრის მამის ტაძრის ქალთა გუნდმა**, რომელიც ასევე პატრიარქის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა. ეს კოლექტივი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქალთა გუნდის მიერ ქართული საგალობლების შესრულების პრაქტიკა დაამკვიდრა და საეკლესიო სივრცეში ქართული ტრადიციული გალობის გავრცელებას შეუწყო ხელი.



ორივე გუნდი იქცა არა მხოლოდ საშემსრულებლო, არამედ საგანმანათლებლო ცენტრად. მათ აღზარდეს მომავალი რეგენტები, მგალობლები და მკვლევრები, რომლებმაც შემდგომში ქართული გალობის აღორძინების პროცესი მთელი საქართველოს მასშტაბით განავრცეს. სწორედ ამ პრაქტიკულმა გამოცდილებამ შექმნა საფუძველი, რომ 2003 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდს მიეღო ისტორიული გადაწყვეტილება — საქართველოს ტაძრებში ქართული ტრადიციული გალობის აღდგენისა და მისი, როგორც ძირითადი სამგალობლო პრაქტიკის, დაკანონების შესახებ.

ქართული გალობის აღორძინების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიული განათლების სისტემის შექმნას.

ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და მხარდაჭერით დაარსდა **გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი**, რომელიც დღემდე რჩება ქართული ტრადიციული მუსიკისა და საეკლესიო გალობის უმთავრეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრად. უნივერსიტეტი 2006 წლიდან ფუნქციონირებს და ამზადებს ლოტბარებს, რეგენტებს, ეთნომუსიკოლოგებსა და ტრადიციული მუსიკის სპეციალისტებს.

უნივერსიტეტის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო პროცესით. აქ მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები, საარქივო მასალის შესწავლა, აუდიოჩანაწერების აღდგენა, საგალობლებისა და ხალხური სიმღერების გამოცემა, საერთაშორისო თანამშრომლობა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება.

ამით პატრიარქმა შექმნა ინსტიტუციური საფუძველი, რომელიც ქართული გალობის მომავალ თაობებზე გადაცემას უზრუნველყოფს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ძალისხმევითა და კურთხევით განსაკუთრებულად დაფასდა იმ მოღვაწეთა ღვაწლი, რომელთა თავდადების გარეშე ქართული ტრადიციული გალობის უდიდესი ნაწილი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა.

2011 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანებად შერაცხა ქართული გალობისა და საეკლესიო მუსიკის გამოჩენილი მოღვაწეები: ექვთიმე

კერესელიძე (წმინდა ექვთიმე აღმსარებელი), ფილიმონ ქორიძე (წმინდა ფილიმონ მაგლობელი), ძმები ვასილ, პოლიევქტოს და ანდრია კარბელაშვილები.

ამ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ სიმბოლური კულტურული მნიშვნელობაც ჰქონდა. ეკლესიამ ამით დაადასტურა, რომ ქართული გალობის შენარჩუნება და გადარჩენა ეროვნული და სულიერი მსახურების განსაკუთრებული ფორმაა. სწორედ მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგად იქნა ჩაწერილი, ნოტებზე გადატანილი და შემონახული ათასობით საგალობელი, რომლებიც საბჭოთა ათეისტური რეჟიმის პირობებშიც კი არ დაიკარგა.

პატრიარქი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ქართული გალობა მხოლოდ მუსიკალური მემკვიდრეობა კი არა, ღვთისმსახურების განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც გალობის მოამაგეთა წმინდანებად შერაცხვა ლოგიკური გაგრძელება იყო იმ ფართომასშტაბიანი პროცესისა, რომელიც XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული საეკლესიო მუსიკის აღორძინებას ემსახურებოდა.

ილია II მხოლოდ ორგანიზატორი და მფარველი არ ყოფილა. მისი ავტორობით შექმნილი საგალობლები დღეს მრავალი ტაძრისა და საკონცერტო პროგრამის რეპერტუარშია შესული. ამით იგი თავადაც გახდა თანამედროვე ქართული საეკლესიო მუსიკის შემოქმედებითი პროცესის მონაწილე.

მისი ავტორობით შექმნილია მრავალი საგალობელი და სასულიერო მუსიკალური ნაწარმოები („ავე მარია“, „შენ ხარ ვენახი“, „რომელი ქერუბიმთა“, „მამაო ჩვენო“ და სხვ.), რომელთა ნაწილი დღეს საქართველოს ტაძრებში რეგულარულად სრულდება. პატრიარქის საგალობლები გამოირჩევა ლაკონიურობით, მელოდიური სიცხადითა და ლოცვითი განწყობის განსაკუთრებული სიღრმით.

მისი ნაწარმოებები ქართულ ტრადიციაზეა დაფუძნებული, თუმცა თანამედროვე ავტორული ხედვაც მკაფიოდ იკვეთება. ამიტომ ისინი საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ტრადიციისა და ინდივიდუალური შემოქმედების ურთიერთქმედების თვალსაზრისით.

ილია II-ის საგალობლების პოპულარობა მოწმობს, რომ მისი მუსიკალური მემკვიდრეობა უკვე თანამედროვე ქართული საეკლესიო მუსიკის ორგანულ ნაწილად იქცა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ღვაწლი ქართული გალობის ისტორიაში მრავალმხრივია. იგი იყო ქართული გალობის აღორძინების მთავარი ინიციატორი, დამცველი და მხარდამჭერი. მისი ძალისხმევით ტრადიციული მრავალხმიანი გალობა დაბრუნდა ეკლესიურ ცხოვრებაში, 2003 წლის სინოდალური განჩინებით კანონიკური სტატუსი მიიღო, შეიქმნა პროფესიული განათლების სისტემა და დაფუძნდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი.

პატრიარქის მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ საეკლესიო მუსიკის, არამედ მთლიანად ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ ილია II სამართლიანად შეიძლება შეფასდეს, როგორც თანამედროვე ეპოქის ქართული გალობის ერთ-ერთი უმთავრესი მოამაგე და მფარველი.

მაკა ხარბიანი

ტმკსც-ის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

პატრიარქის ნათლულთა გუნდი „საგალობელი“

2008 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საყოველთაო ნათლობების პრაქტიკას ჩაუყარა საფუძველი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოჯახის ყოველ მესამე და მომდევნო ბავშვებს თვით კათოლიკოს-პატრიარქი მონათლევდა. ამ უმნიშვნელოვანესმა წამოწყებამ მნიშვნელოვნად გაზარდა შობადობის რიცხვი და ხელი შეუწყო დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრ გაუმჯობესებას საქართველოში. უკვე წამოზრდილ ნათლულთაგან კი პატრიარქის კურთხევით შეიქმნა ფოლკლორული ანსამბლი „საგალობელი“, რომელსაც მალე 10 წელი შეუსრულდება. ანსამბლის ხელმძღვანელია გამოცდილი ლოტბარი, ტრადიციული მუსიკალური ოჯახის წარმომადგენელი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი, მაია მიქაბერიძე. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

ს.კ. - საიდან გაჩნდა და ვის ეკუთვნის პატრიარქის ნათლულთა გუნდის ჩამოყალიბების იდეა?

მ.მ. - პატრიარქის ნათლულთა გუნდი „საგალობელი“ ჩამოყალიბდა 2017 წელს, თუმცა მანამდე ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა მქონდა. 1993 წელს ჩამოვაყალიბე ბიჭუნათა ფოლკლორული გუნდი, რომელსაც დავარქევი „საგალობელი“. მაშინდელმა „საგალობელმა“ მაგალობელ-მომღერალთა არა ერთი თაობა აღზარდა, რომელთა ნაწილიც დღეს თავად ხელმძღვანელობს ფოლკლორულ გუნდებს. რაც შეეხება პატრიარქის ნათლულთა გუნდს, მისი ისტორია დაიწყო 2017 წელს. მაშინ ჩემთან მოვიდა უწმინდესის ჩოხოსანი, აწ გარდაცვლილი ბატონი გურამ შენგელია და გამიმჟღავნა პატრიარქის ნათლულთა გუნდის იდეა. როგორც აღმოჩნდა, ბატონ გურამს ეს სურვილი დიდი ხანია ჰქონდა, თუმცა ელოდებოდა პატრიარქის ნათლულთა იმ ასაკს, როდესაც ისინი უკვე შეძლებდნენ ტრადიციული სიმღერისა და გალობის შესწავლას. მან იცოდა ჩემი ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკის შესახებ და მთხოვა, რომ ამ ანსამბლს სწორედ მე ჩავდგომოდი სათავეში. ჩემთვის, როგორც ლოტბარისა და 5 შვილის დედისთვის (ჩემი მეხუთე შვილიც უწმინდესის ნათლულია), ეს დიდი პასუხისმგებლობა და სიხარული იყო. 2017 წლის 25 მაისს, ამაღლების დღესასწაულზე, ჩვენ გვქონდა პირველი შეხვედრა მის უწმინდესობასთან. მაშინ მან დაგვლოცა და გვთხოვა, რომ ყველასთვის მიგვეცა ამ გუნდში მღერის საშუალება. შეიძლება ითქვას, რომ ეს თარიღი ჩვენი გუნდის დაბადების დღეა.

ს.კ. - როგორია ანსამბლის შემადგენლობა და გარდა პატრიარქის ნათლულებისა, ვინ არიან გუნდში გაერთიანებული?

მ.მ. - ჩვენ ვასრულებთ უწმინდესის ლოცვა-კურთხევას და ყველა მსურველს ვაძლევთ ამ გუნდში მღერის საშუალებას. ეს გახლავთ გოგონათა და ვაჟთა შერეული გუნდი, სადაც გაერთიანებული არიან არა მხოლოდ უწმინდესის ნათლულები, არამედ მათი და-



მძევიც და, ასევე, ნებისმიერი ბავშვი, ვისაც აქვს ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის შესწავლის სურვილი. ამჟამად პატრიარქის ნათლულთა გუნდში 200-მდე ბავშვია გაერთიანებული. ისინი დაყოფილი არიან ჯგუფებად: გვყავს მოსამზადებელი, საკონცერტო და სხვადასხვა ტიპის ჯგუფები, ბავშვების მუსიკალური მომზადების შესაბამისად. მათი დაახლოებითი ასაკი თანაბარია. გარდა ტრადიციული სიმღერისა და გალობისა, ბოლო ორი წელია, რაც ბავშვები ეუფლებიან ტრადიციულ საკრავებსაც, რომელთაც მოწვეული პედაგოგი გიორგი შაროვი ასწავლის. რაც შეეხება ხალხურ სიმღერასა და გალობას, მას ჩემთან ერთად ჩემი ვაჟი, პროფესიით ლოტბარი, თორნიკე მანჭკავაც ასწავლის. ამჟამად ანსამბლს საკუთარი სარეპეტიციო სივრცე არ აქვს. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს და პირადად რექტორს, ბატონ გიორგი შალუტაშვილს, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ჩავატაროთ რეპეტიციები.

ს.კ. - რას მოიცავს ანსამბლის რეპერტუარი და როგორია მასზე მუშაობის პროცესი?

მ.მ. - ჩვენი მიზანია, რომ ბავშვებს ჰქონდეთ საბაზისო ცოდნა ქართული ტრადიციული მუსიკის მიმართულებით, შესაბამისად, ყველაფერს ვაწვდით ეტაპობრივად. რა თქმა უნდა, ვიწყებთ ხალხური სიმღერით, რადგან, სანამ საგალობლების შესწავლამდე მიხვალ, მოგეხსენებათ, გარკვეული მზაობა არის საჭირო. უკვე შემდგომ ეტაპზე, საეკლესიო საგალობლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს რეპერტუარში. ვასრულებთ აგრეთვე ქალაქური მუსიკის ნიმუშებს, კომპოზიტორთა ნაწარმოებებსა და ქართული კინომუსიკის შედეგებსაც. სიმღერების შესწავლის პროცესი მიმდინარეობს მარტივიდან რთულისკენ. მე მაქვს ბავშვებთან



მუშაობის ჩემეული მეთოდი, რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული ხალხური სიმღერისაგან შევადგინე ე.წ. ინტონაციური და მეტყველების სავარჯიშოები. ეს უვითრებს ბავშვებს მეტყველების კულტურას, აჩვენებს ინტონაციურ სისუფთავეს და ა.შ. თვითონ სიმღერებიც ისე მაქვს განაწილებული, რომ ამა თუ იმ კონკრეტული სიმღერას სავარჯიშოდაც ვიყენებ. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ბავშვებს ვასწავლით სცენაზე დგომის კულტურასაც. მოგეხსენებათ, რომ დღეს ხალხური სიმღერა, ძირითადად მაინც სცენაზე ცოცხლობს, შესაბამისად, აუცილებელია, რომ ბავშვები თავიდანვე შეეჩვიონ სცენაზე დგომის კულტურას, გაიაზრონ ამა თუ იმ სიმღერის შინაარსი, რომელსაც ასრულებენ და ჰქონდეთ მაყურებელთან კონტაქტი.

როდესაც ბავშვი ჩვენთან მოსვლის სურვილს გამოთქვამს, ჩვენ დიდ ყუარდლებას არ ვაქცევთ მის მუსიკალურ მონაცემებს. ეს უკვე პედაგოგის ძალისხმევასა და უშუალოდ მის მონდომებაზეა

დამოკიდებული. ამის საშუალებას იძლევა გუნდში მღერის პრაქტიკაც. ცვდილობ, ბავშვებს მკაცრად არასდროს მოვექცე.

ს.კ. - რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა პატრიარქის ნათლულთა გუნდი?

მ.მ. - ანსამბლი აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა და ეწევა დღემდე. ჩვენ წელიწადში ორჯერ ვმართავთ საანგარიშო სოლო კონცერტებს, რათა ვაჩვენოთ მსმენელს ჩვენი მუშაობის

შედეგი. აქვე, ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი მშობლებს ნდობისა და თანადგომისათვის. ისინი ყოველთვის აქტიურად გვიჭერენ მხარს ნებისმიერი იდეის განხორციელებაში. ძალიან ხშირად ვმართავთ კონცერტებს საქართველოს რეგიონებში. გვქონდა გასტროლი საზღვარგარეთაც - ათენში, სადაც ადგილობრივი ემიგრანტთა გუნდებთან ერთად



ჩავატარეთ კონცერტი. ანსამბლს გამოცემული აქვს ერთი აუდიოალბომიც. პატრიარქის ნათლულთა გუნდი „საგალობელი“ პერიოდულად მონაწილეობს ღვთისმსახურებაშიც. წმ. სამების საკათედრო ტაძარში, მისი უწმინდესობის გამოსათხოვარ პანაშვიდებზე, ჩვენმა გუნდმაც იგალობა. სულ ახლახანს კი, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-10 ეროვნულ კონკურსზე გრან-პრი ავიღეთ საეკლესიო გალობის მიმართულებით. აქვე მადლობას გადავუხდი კონკურსის ორგანიზატორებსა და ჟიურის.

ს.კ. - რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

მ.მ. - მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა, პატრიარქმა შიო მესამემ განაცხადა, რომ პატრიარქის მიერ ბავშვების მონათვლის ტრადიცია კვლავ გაგრძელდება. მოხარული ვიქნები, თუ ჩვენი გუნდი უკვე ორი პატრიარქის ნათლულებით დაკომპლექტდება. გარდა ამისა, დიდი სურვილი გვაქვს, რომ რეგიონებშიც გავხსნათ პატრიარქის ნათლულთა გუნდის ფილიალები. სულ რამდენიმე თვის წინ, ჩემს მშობლიურ მხარეში, ჩოხატაურში გავხსენით პატრიარქის ნათლულთა გუნდის ფილიალი, სადაც 80-მა ბავშვმა გამოთქვა სიმღერის შესწავლის სურვილი. მადლობა მინდა გადავუხადო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისთვის. ასევე, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, გვქონდეს ხელოვნების სკოლა, რომელიც კომპლექსურ მუსიკალურ განათლებას მისცემს ბავშვებს.

ს.კ. - წარმატებებს გისურვებთ!

ინტერვიუ ჩაიწერა სოფიკო კოტრიკაძემ

ქართული მუსიკის სახლი ლონდონში

ჯერ კიდევ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში სწავლისა და კვლევითი ვიზიტების განხორციელებისას, ვიგრძენი ქართული მუსიკისა და კულტურის წარმდგენის პასუხისმგებლობა. თუმცა ამის რაციონალიზაცია მხოლოდ მოგვიანებით შევძელი, როცა შევამჩნიე, როგორ სხაპასხუპით მოვაყოლებდი ხოლმე ქართული კულტურის უძველესობისა და მრავალხმიანობის უნიკალობის შესახებ ამბებს უცნობ-ნაცნობების უბრალო შენიშვნას, რომ საქართველოს შესახებ ან არაფერი, ან ძალიან ცოტა თუ სმენიათ. 2018 წლიდან, როცა ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის საერთაშორისო საბჭოში საქართველოს რეგიონული წარმომადგენელი გავხდი, ჩემი ეს პასუხისმგებლობის შეგრძნება უკვე პროფესიული როლითაც გამყარდა და საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული კულტურის შესახებ ადამიანების ინფორმირება ჩემი გაცნობიერებული და მიზანმიმართული საქმიანობა გახდა.



ემიგრაციაში ცხოვრება სამშობლოს მონატრებასთან ერთად, მშობლიური ენის, კულტურისა და ისტორიის სიყვარულსაც გიმძაფრებს. არც მე ვყოფილვარ ამ მხრივ გამონაკლისი. ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩემი საქმიანობის დასასრულს, დიდ ბრიტანეთში საცხოვრებლად გადმოსულმა, ბრიტანელ-ქართველ ჯაზ-პიანისტ, კომპოზიტორ და მკვლევარ სანდრო შართან ერთად, აქტიურად დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ როგორ გამოგვეყენებინა ჩვენი ლონდონში ცხოვრების მოცემულობა ქართული კულტურისა და მუსიკის სასიკეთოდ. ასე გაგვიჩნდა „ქართული მუსიკის სახლის“ შექმნის

იდეა, რომლის პრეზენტაციისთვის დაწერილ სანდროს სიმღერა-ექსპრომტშიც ბუნებრივად გაიჟღერა ფრაზამ „ავამღეროთ ბრიტანეთი ქართულად, მრავალ ხმაშია“.

ახლახანს დაარსებული [ქართული მუსიკის სახლი](#) სწორედ ის ადგილია, სადაც ქართული კულტურითა და განსაკუთრებით, მუსიკით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, იპოვოს მისი ინტერესის შესაბამისი მიმართულება, იქნება ეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, გამოცემები, ფილმების ჩვენებები, კონფერენცია, კონცერტები, ვორქშოპები, თუ ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობისა და ინსტრუმენტების შემსწავლელი კლასები. ლოგოზე დატანილი ძველი იმერული ხის სახლი სიმბოლურად განასახიერებს იმ ქართულ კულტურულ სივრცეს, რომლის კარი ყველასთვის ღიაა, იქნება ის ქართულად თუ ინგლისურად მოსაუბრე, ქართველი ემიგრანტი თუ ქართული კულტურის გულშემატკივარი ბრიტანელი (და არა მხოლოდ), ქართული მუსიკის შემსრულებელი ან მოყვარული, თუ, უბრალოდ, ცნობისმოყვარე ადამიანი, ვისაც სურს მეტი გაიგოს ქართული კულტურისა და ზოგადად, საქართველოს შესახებ. ქართული მუსიკის სახლის შესაძლო მასპინძლებად კი არა მხოლოდ მე და სანდრო, არამედ ის ქართველი

მკვლევრები, მასწავლებლები და შემსრულებლებიც გვესახება, ვინც უკვე წლებია სტუმრობენ აქაურ ქართული სიმღერის გუნდებს, ბრიტანელების არაჩვეულებრივ თემს, ვინც საკუთარი საჯარო წარმოდგენებით უკვე მრავალი წელია ქართული მუსიკის პოპულარიზაციას ეწევა.

დიდი სურვილი გვაქვს, ქართული სტუმართმოყვარეობით ნაკარნახევი ეს სიმბოლური მუსიკალური სახლი ზემოაღნიშნული ქართული მუსიკის შემსრულებლების, ქართველი ემიგრანტებისა და ბრიტანეთში მცხოვრები სხვადასხვა წარმომავლობის მქონე ადამიანების გამაერთიანებელ სივრცედ იქცეს, სადაც ისინი არა მხოლოდ შეისწავლიან ქართულ მუსიკას და მიიღებენ მათთვის ახალ ინფორმაციას, არამედ თავადაც შეძლებენ თვითგამოხატვას, ქართული მუსიკის შესრულებას, მასზე საუბარსა და უბრალოდ, აზრების გაცვლა-გამოცვლას. ქართული მუსიკის სახლის სასწავლო მიმართულების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილად გვესახება სიმღერისა და ინსტრუმენტების კლასები ბავშვებისათვის, რისი საშუალებითაც ისინი გაიცნობენ და შეიყვარებენ ქართულ კულტურას, ქართულ ენასა და ზოგადად, საქართველოს. ეს განსაკუთრებით ეხება ქართველი ემიგრანტების ახალ თაობას, რომელთა მშობლებსაც გააზრებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია ბრიტანელებად აღზრდილ შვილებს ქართული იდენტობა და ფესვებთან კავშირი შეუნარჩუნონ. ქართული სიმღერა კი ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ბუნებრივი და ეფექტური საშუალებაა, რასაც ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილიც აღნიშნავდა: „როცა ქართველი მღერის ან უსმენს სიმღერას (ავტორი გულისხმობს ქართულ მრავალხმიან სიმღერას), მასში ყოველ ჯერზე ხელახლა იბადება ქართველი“.



ადამიანების ქართული მუსიკის გარშემო გაერთიანება გახლდათ ერთ-ერთი მოტივაცია იმ ყოველწლიური კონფერენციის დაარსებისაც, რომელიც, ქართული მუსიკის სახლის ორგანიზებით, წელს პირველად, 20 აპრილს ჩატარდა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში (UCL). კონფერენცია ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის, პედაგოგის, ფოლკლორული მომღერლისა და ბევრი ჩვენგანისთვის საყვარელი ადამიანის, ნინო კალანდაძის სახელობისაა. კონფერენციის იდეის ავტორი და თანაორგანიზატორია ქეთი კალანდაძე, ხოლო წელს მისი მხარდამჭერები არიან ბრიტანულ-ქართული საზოგადოება, UCL-ის ქართული საზოგადოება, ქართული რესტორანი „გემოს“ და კომპანია „ბლუტაბლა“.



ლონდონის ქართული მუსიკის საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში არსებული თუ აქამდე ჩატარებული ავტორიტეტული კონფერენციებისა და ფესტივალებისგან, პირველ რიგში, იმით განსხვავდება, რომ ის ქართული მუსიკის ყველა ჟანრს აერთიანებს და არა მხოლოდ მათ მკვლევრებს, არამედ შემსრულებლებსაც იწვევს მოხსენებების წარმოსადგენად. ამასთან, ღონისძიების სამეცნიერო ნაწილის ბალანსი საკონცერტო და შემეცნებით ნაწილებთან, კონფერენციის ფორმატს გაცილებით დიდ მასშტაბს სძენს და მას ბრიტანეთში ქართული მუსიკის წარმდგენ ცენტრალურ ღონისძიებად აქცევს. გარდა ამისა, კონფერენცია ნინო კალანდაძის პროფესიონალიზმისა და მდიდარი მემკვიდრეობის საქართველოს ფარგლებს გარეთ წარდგენის შესაძლებლობასაც იძლევა.

იმედი გვაქვს, წლევანდელი ერთდღიანი კონფერენციის ფორმატი მომავალ წელს უკვე გაიზრდება და გაცილებით დიდი ხვედრითი წილით წარმოადგენს ქართული

პროფესიული და პოპულარული მუსიკის მიმართულებებსაც, ვიდრე ეს წელს იყო. ბუნებრივიცაა, რომ ნინო კალანდაძის სახელობის კონფერენციის დაარსების წელს მთავარი ფოკუსი ტრადიციული მუსიკა, მისი კვლევა, სწავლება და შემსრულებლობა იყო. მოხსენებებს საქართველოდან, ბრიტანეთიდან, ესტონეთიდან, ამერიკიდან და კანადიდან არა მხოლოდ საკონფერენციო დარბაზში, არამედ ონლაინაც დიდი აუდიტორია ესწრებოდა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ კონფერენციის დასკვნით კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული მუსიკის შემსრულებელი გუნდები და ტრიოები ბრიტანეთის ყველა მხარიდან, მათ შორის, შოტლანდიიდანაც.

ქართული მუსიკის სახლის სამომავლო გეგმებშია საქართველოში მცხოვრები მუსიკოსების ჩართულობით ისეთი შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც კარგად წარმოაჩენს ქართული ტრადიციული მუსიკის პოტენციალს თანამედროვე საავტორო მუსიკის კონტექსტში. პირველ ასეთ პროექტს - სანდრო შარის მუსიკალურ ალბომს „თამარიანი“ - მომავალ წელს უკვე გაიცნობს როგორც ბრიტანული, ისე ქართული აუდიტორია.

თეონა ლომსაძე

ტმკსც-ის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი

ქალთა ტრადიციული მუსიკის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი
„ნანინა-2026“ „მგოსანნი გლოვისანი“
ქალთა გლოვა - ტრადიცია, წეს-ჩვეულება, მუსიკა

თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, მამაკაცთა რეპერტუარის მასშტაბურობისა და მათი „მრავალფუნქციურობის“ გამო, ქალთა სასიმღერო შემოქმედება ერთგვარად ჩრდილში იყო მოქცეული. სწორედ ამ უსამართლო დუმილის დარღვევა, ქალთა არქაული ფენის „გამომზეურება“ და ქართული მუსიკალური „ფუმე-ენის“ გენეზისის ძიება გახდა ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ მთავარი მისია და 2023 წელს ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალ „ნანინას“ დაფუძნების მთავარი მოტივაცია.

2026 წლის 6-8 მაისს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და შემოქმედებითი საქართველოს მხარდაჭერით, ქალთა ტრადიციული მუსიკის რიგით IV ფესტივალი „ნანინა-2026“ გაიმართა, რომელმაც წელს საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა.



წინა სამი წლის თემატიკისგან განსხვავებით, სადაც ყურადღების ცენტრში იყო „აკვნის ნანა“, „ბატონები“ და „ქალთა შრომა“, წლევანდელი ფორუმი ყველაზე სენსიტიურ და საკრალურ სფეროს - ქალთა გლოვას მიეძღვნა. ფესტივალი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის

მიტროპოლიტის, ილია II-ის ხსოვნას მიეძღვნა.

IV ფესტივალი სამი სეგმენტით იყო წარმოდგენილი: სამეცნიერო კონფერენცია, ვიდეორგოლების პრეზენტაცია და სასცენო წარმოდგენა.

სამეცნიერო კონფერენციაში ჩართულნი იყვნენ ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგები, ეთნოლოგები, ზეპირსიტყვიერებისა და გამოყენებითი ხელოვნების მკვლევრები, ენათმეცნიერები, ქორეოლოგები, ფსიქოლოგები, მუსიკათერაპევტები, როგორც დოქტორები, მაგისტრები და ბაკალავრები, ისე - სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებმაც წარმოადგინეს ქალთა გლოვასთან დაკავშირებული, ფოლკლორის მონათესავე დარგებში არსებული მასალების კვლევის შედეგები სამეცნიერო ნაშრომების სახით.

ფესტივალის საერთაშორისო სტატუსმა შესაძლებელი გახადა გლოვის ფენომენის



მულტიდისციპლინური შესწავლა. სამი დღის განმავლობაში მიმდინარე სამეცნიერო კონფერენციაზე ქართველმა და უცხოელმა მკვლევარებმა წარმოადგინეს ნაშრომები, სადაც გლოვა განხილული იყო არა მხოლოდ როგორც ტკივილის გამოხატვა, არამედ როგორც ფსიქოლოგიური ტრანსფორმაციის, ეთნოლინგვისტური სიმდიდრისა და არაცნობიერი მუსიკათერაპიის საშუალება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპულ და მეზობელი ქვეყნების

გამოცდილებას. მერი-სოფია ლაკოსის (საბერძნეთი) დაკვირვებებმა პონტოელი ბერძნების „მოიროლოიზე“, ანა ყელბერაშვილის კვლევამ ესპანურ მუსიკალურ ფოლკლორში გლოვის ტრადიციის შესახებ და დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენეს (ლიეტუვა) პრეზენტაციამ გოდების სემანტიკურ ასპექტებზე აჩვენა ტიპოლოგიური მსგავსებები სხვადასხვა კულტურებს შორის. ფინელმა მკვლევარმა ემილია კალონენმა წარმოადგინა უნიკალური ნაშრომი მოტირლის საქმიანობის შესახებ 2020-იანი წლების ფინეთში, რამაც ტრადიციის თანამედროვეობაში გადარჩენის გზები დაგვანახა. შოტლანდიელი მარჯერი ბრეის მიერ წარმოდგენილმა ქალთა საკრავიერმა გოდებამ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გლოვის ენა უნივერსალურია, თუმცა ყოველ კუთხეს თავისი უნიკალური გამოხატვის ფორმა აქვს.

საპრეზენტაციო ნაწილში რეგიონულ და თბილისურ ქალთა ანსამბლებთან ერთად, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ქალთა კოლექტივებმა წარმოადგინეს საქართველოსა და მსოფლიოში ქალთა გლოვასთან დაკავშირებული, დღემდე შემორჩენილი ტრადიციების ამსახველი ვიდეორგოლები. რადგან გლოვის რიტუალი თავისი ბუნებით საკრალურია და მისი სასცენო რეკონსტრუქცია ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, სწორედ ვიდეომასალამ შეასრულა



უმნიშვნელოვანესი როლი კონტექსტის გაცოცხლებაში. ვიდეორგოლების მეშვეობით მაყურებელმა იხილა საქართველოში (სვანეთი, თუშეთი, ხევი, გურია, ჰერეთი, აჭარა) და მსოფლიოში (შოტლანდია, ლიეტუვა, საბერძნეთი, ფინეთი) დღემდე შემორჩენილი უნიკალური ტრადიციების ამსახველი კადრები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანური გლოვის, როგორც „პერმანენტული დიალოგის“ ასახვა, სადაც მომაკვდავი ადამიანი აღიქმება როგორც მედიუმი ორ სამყაროს შორის. ამ

დოკუმენტურმა მასალამ ფესტივალს სამეცნიერო უტყუარობა და განსაკუთრებული ემოციური სიღრმე შესძინა.

სასცენო პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა (თბილისურმა და რეგიონულმა) და უცხოელმა ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, რომელთა მიერ ცოცხლად შესრულდა ქართული და მსოფლიო ფოლკლორის ტრადიციული ქალთა გლოვის ნიმუშები, ასევე მიცვალებულთა საგალობლები. ფესტივალის იდეის ავტორმა და ინიციატორმა, მაია გელაშვილმა სასცენო პროგრამის კონცეფცია ქართული ტრადიციული მსოფლგაგების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა, რომლის მიხედვით, გარდაცვალების შემდეგ, ადამიანის სული მოგზაურობს სამზეოდან შავეთში, ხოლო შემდეგ სულეთს მიაშურებს, საიდანაც სამზეოში მყოფ ადამიანებთან უხილავ კავშირს ინარჩუნებს. გარდაცვლილის ჭირისუფალი ამ გზას თითქოს მასთან ერთად გადის. სწორედ აქ იბადება გლოვის პოეზია და მუსიკა, რომლის მეშვეობითაც მგლოვიარე ადამიანი კავშირს ამყარებს გარდაცვლილის სულთან.



ფესტივალის სასცენო პროგრამა იყო სულისშემძვრელი მოგზაურობა, სადაც გლოვა თავისი მთელი სიღრმითა და სიმღერით წარმოჩნდა. ქართულმა ანსამბლებმა - იალონმა (საგალობლები), ცანიმ (გურია), მზეშინამ (კახეთი), კირიალესამ (ფშავი), დიდებამ (ხევი), სათანაომ (რაჭა), კაბადონმა (ქართლი), ლალხორმა (სვანეთი), ფერხისამ (თუშეთი), სალიამ (საგალობლები), გოგალაიმ (სამეგრელო), დებმა გოგოჭურებმა

(ხევსურეთი), ნაიმ (აჭარა), გალობის უნივერსიტეტის გუნდმა (ჰერეთი), სამზიანომ (ქართლი), კასლეთილამ (სვანეთი), მარგალიტმა (ფშავი), მთიებმა (კახეთი), ბოლნელამ (იმერეთი) და სოლო შემსრულებლებმა - ლელა თათარაიძემ (თუშეთი), ვიქტორია სამსონაძემ (თუშეთი), ქეთევან ბაიაშვილმა (ფშავი), მარი ხაჩიძემ (თუშეთი), მარიამ გადელიამ (სამეგრელო), ანა ყელბერაშვილმა (კახეთი) - მაყურებელს შესთავაზეს არქაული ნიმუშები: სალოცავში შესასრულებელი სავედრებელი სიმღერები, ქორქალი, ზუზუნა, ხმით ტირილები და ზრუნა.

ლატვიურმა „Suitu Sievas“-მა და უცხოელმა სოლო შემსრულებლებმა - მერი-სოფია ლაკოსმა (საბერძნეთი), ემილია კალონენმა (ფინეთი), ესტერ ჰაიოშმა (უნგრეთი), მარჯერი ბრეიმ (შოტლანდია) - ცოცხლად გააჟღერეს თავიანთი ხალხების ტრადიციული სამგლოვიარო ნიმუშები და დარბაზს საკუთარი კულტურების ეგზისტენციალური სიღრმე გაუზიარეს. განსაკუთრებული იყო აზერბაიჯანელი თინათინ-ნარგილე მეჰთიევას გამოსვლა, რომლის შესრულებამაც აღმოსავლური მელოსისტვის დამახასიათებელი ტრაგიზმით კიდევ უფრო გაამდიდრა ფესტივალის სასცენო პროგრამა.

ფესტივალი ფართოდ გაშუქდა საქართველოს ტელე და რადიომაუწყებლობის სხვადასხვა არხების მიერ და სოციალურ მედიაში.

ლეონტი მროველის ცნობით შთაგონებული თემა „მგოსანნი გლოვისანი“, სცენაზე რეალობად იქცა: მაყურებელმა დაინახა, როგორ გარდაიქმნება ადამიანური ტკივილი მაღალმხატვრულ, ხმოვან-პოეტურ შემოქმედებად.

მეოთხე ფესტივალმა „ნანინა-2026“ სერიოზული რეზონანსი გამოიწვია არა მხოლოდ პროფესიულ წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებაშიც. მან მოახერხა ის, რაც ყველაზე რთულია - სამეცნიერო კონფერენციის, ეთნოგრაფიული ვიდეორგოლებისა და სასცენო შესრულების სინთეზით წარმოეჩინა გლოვა ისეთი სიფრთხილით, რომ არ დაერღვია მისი საკრალურობა. ფესტივალმა გააცოცხლა ინტერესი ახალგაზრდა თაობაში, მოიზიდა მრავალი სტუდენტი და საფუძველი ჩაუყარა ახალი ანსამბლების შექმნას. ეს არის გზა, რომელიც წარსულსა და მომავალს შორის უხილავ ძაფს აბამს და კულტურას სულს უნარჩუნებს.

ფესტივალის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.facebook.com/FestivalNanina>

მაკა ხარძიანი

ფესტივალის ორგანიზატორი

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ დირექტორი

ქართული ფოლკლორის საარქივო მასალების კატალოგიზაციის პროექტი


საქართველოს ხმოვანი ფონდების საარქივო სივრცე საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, როგორც ინსტიტუციური, ისე კერძო ინიციატივებით, ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშები იწერებოდა სხვადასხვა მატარებელზე: ცვილის ლილვაკებზე, ფირფიტებზე, მაგნიტურ ფირებზე, მოგვიანებით კი - აუდიოკასეტებზე. აღნიშნული მასალა დღეს დაცულია ქვეყნის მრავალ ინსტიტუტში, მუზეუმში, არქივსა და სხვა კულტურულ დაწესებულებაში.

მე-20 საუკუნიდან დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული ქართული აუდიოჩანაწერების მოძიებისა და დაბრუნების პროცესი, რომელსაც სათავეში ედგნენ: ანზორ ერქომაიშვილი, დავით ხუხუნაიშვილი, იოსებ მეგრელიძე და სხვ. ეს პროცესი დღემდე გრძელდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული ტრადიციული მუსიკისადმი ინტერესის უწყვეტობას.

უნიკალური ჩანაწერები კვლავაც ინახება უცხოურ არქივებსა და კერძო კოლექციებში, თუმცა, ვიდრე საერთაშორისო სივრცეში გაფანტული მასალის მოძიებაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია ქვეყნის შიგნით არსებული რესურსის მაქსიმალურად სრულყოფილი შესწავლა და სისტემატიზაცია. ამისათვის საჭიროა საარქივო საქმის ისტორიული განვითარების გააზრება.

საქართველოში საარქივო სისტემის ინსტიტუციური ჩამოყალიბება დიდწილად საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობას ეფუძნება. იმდროინდელი მოდელი ცენტრალიზებული და სტანდარტიზებული იყო - საადრიცხოვო ფორმები და პრინციპები ერთიანი წესით ნაწილდებოდა საბჭოთა რესპუბლიკებში. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში საარქივო საქმე სრულყოფილად ვერ ჩამოყალიბდა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ექსპედიციებში მოპოვებული მასალის არასტაბილური



„ბრუნვა“: მკვლევრები ხშირად ჩანაწერებს ან შესაბამის ინსტიტუციებში აბარებდნენ, ან საკუთარ სახლებში ინახავდნენ. შედეგად, მათი გარდაცვალების შემდეგ, მრავალი უნიკალური მასალა დაიკარგა. პრობლემას ქმნიდა არქივებისადმი თავისუფალი დამოკიდებულებაც - მასალის დაურეგისტრირებელი გატანა და აღარ დაბრუნება, რაც მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევდა.

ამავე დროს, აღნიშნულმა „თავისუფალმა მიმოსვლამ“ გარკვეული დადებითი შედეგიც მოიტანა: ზოგჯერ სრულიად არაპროფილურ დაწესებულებებში აღმოჩნდება ხოლმე ღირებული ფონოჩანაწერები. თუმცა, ასეთ შემთხვევებში თავს იჩენს დოკუმენტაციის პრობლემა - არ არის მითითებული ჩამბარებელი პირი, რაც ართულებს მასალის წარმომავლობისა და კონტექსტის დადგენას.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში დაიწყო საარქივო სისტემის მოწესრიგების პროცესი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უკვე დაცული მასალის შესწავლას, კატალოგების განახლებასა და მონაცემთა სისტემატიზაციას. ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ფონოჩანაწერების გაციფრულება - დიგიტალიზაცია.

აღსანიშნავია 2005–2007 წლებში განხორციელებული პროექტი, რომელიც კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელდა. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოში დაცული ცვილის ლილვაკები გაციფრდა (ხმები წარსულიდან - 16 CD). ტექნიკური სირთულეების გამო, საჭირო გახდა უცხოელი სპეციალისტის მოწვევა, რაც ნათლად აჩვენებს როგორც პრობლემის სირთულეს, ისე მის გადაჭრაში საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას.

საქართველოს არქივების განსაკუთრებული სიმდიდრე განპირობებულია ქვეყნის მრავალეთნიკური შემადგენლობით. აქ დაცულია არა მხოლოდ ქართული, არამედ სომხური, აზერბაიჯანული, ებრაული, დაღესტნური, ჩეჩნური და სხვა ეთნიკური ჯგუფების უნიკალური ჩანაწერები. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, აქტუალურია აღწერის სიზუსტის პრობლემა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დარგობრივი სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობას.

დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევა კვლავაც ფონოჩანაწერების დიგიტალიზაციას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩანაწერი მაგნიტურ ფირზეა

დაფიქსირებული და შესაბამისი აპარატურა შედარებით ხელმისაწვდომია, მრავალი არქივი კვლავ ინახავს გაუციფრებელ მასალას. ხშირად ასეთი ფირები მონიშნულია როგორც „უცნობი ჩანაწერი“, რაც მიუთითებს კატალოგიზაციის სერიოზულ ხარვეზებზე.

პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ფინანსური რესურსების სიმცირეა. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები არსებობს, ხშირად იჩენს თავს კვალიფიკური კადრების დეფიციტი. კატალოგიზაციის პროცესში სპეციალისტების არასაკმარისი ჩართულობა იწვევს მონაცემთა უზუსტობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს არქივის სამეცნიერო ღირებულებას.

საქართველოს საარქივო სივრცის სისტემატიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროექტი „ქართული ფოლკლორის საარქივო მასალების კატალოგიზაცია“, რომელიც ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია ერთიან ონლაინ პლატფორმაზე (Folkcatalog.ge) გააერთიანოს სხვადასხვა დაწესებულებაში დაცული ფოლკლორული მასალის კატალოგები.

ონლაინკატალოგი მოიცავს არა მხოლოდ აუდიო, არამედ ვიდეო, ფოტო და წერილობით დოკუმენტებს. მისი მთავარი უპირატესობა არის ხელმისაწვდომობა: მკვლევარს შეუძლია დისტანციურად მოიძიოს სასურველი მასალა, გაეცნოს მის აღწერას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს შესაბამის ინსტიტუციას.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოს მასშტაბით არსებული ფოლკლორული საარქივო მასალების ერთიანი ბაზის შექმნა. პლატფორმაზე წარმოდგენილი ორგანიზაციების ჩამონათვალი მუდმივად განახლებადია, რაც უზრუნველყოფს სისტემის დინამიკურ განვითარებას.

საქართველოს საარქივო ფონდი, განსაკუთრებით ხმოვანი ჩანაწერების მიმართულებით, წარმოდგენს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. მიუხედავად არსებული სირთულეებისა - დიგიტალიზაციის, კატალოგიზაციისა და კადრების კუთხით - თანამედროვე ინიციატივები ქმნის მყარ საფუძველს ამ სფეროს განვითარებისთვის.

არქივების ეფექტური მართვა, სისტემატიზაცია და დიგიტალიზაცია არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, არამედ მის კვლევასა და პოპულარიზაციასაც უზრუნველყოფს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალურ სამეცნიერო და კულტურულ კონტექსტში.

პროექტის განხორციელებაში ჩართულნი არიან, როგორც პროფესიონალი ეთნომუსიკოლოგები, ისე სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებიც. ვებ-გვერდის დიზაინერია ნიკოლოზ გოგაშვილი, მთავარი ადმინისტრატორი - თევდორე გოგოლაძე.

კატალოგის სანახავად მიჰყევით ბმულს: <https://folkcatalog.ge/ka/institutions>

სანდრო ნათაძე

პროექტის იდეის ავტორი და ხელმძღვანელი

ეთნოგრაფიული ანსამბლი „სუიტუ სიევას“ ლატვიიდან

სუიტი დასავლეთ ლატვიაში ალსუნგას, იურკალნესა და გუდენიეკის სამრევლოებში მცხოვრები პატარა კათოლიკური კულტურული თემია. მათი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა - სუიტის კულტურული სივრცე - შეტანილია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში, რომელიც სასწრაფო დაცვას საჭიროებს. ამ ტრადიციების მთავარი მცველები და გადამცემები თემის ქალები არიან, რომლებიც მათ ყოველდღიური პრაქტიკის, შესრულებისა და სწავლების გზით ინარჩუნებენ და მომავალ თაობებს გადასცემენ.

ამ მემკვიდრეობის შემნარჩუნებელ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ეთნოგრაფიული ანსამბლი „სუიტუ სიევას“ ალსუნგადან. ანსამბლი წარმოადგენს ადგილობრივი ტრადიციების ცოცხალ გაგრძელებას - არა მხოლოდ სიმღერაში, არამედ ხელოსნობაში, წეს-ჩვეულებებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.



სცენაზე სუიტის ჯგუფური შესრულება მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იწყება. პირველი ცნობილი გამოსვლა 1924 წელს შედგა, როდესაც ფოლკლორისტმა ლუდის ბერზინშმა სუიტის მომღერლები რიგაში ჩამოიყვანა. ერთი წლის შემდეგ, 1925 წელს, კომპოზიტორმა და ფოლკლორისტმა ემილის მელნგაილისმა კიდევ ერთი მოგზაურობა მოაწყო, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სუიტის ხალხის სასიმღერო ტრადიციების უნიკალურობას.

ანსამბლის დაარსების თარიღად 1955 წელი ითვლება. ამ წელს ლატვიის ფოლკლორის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ადგილობრივი მომღერლები წამყვანი ვოკალისტის ვერონიკა პორჟინგეს ხელმძღვანელობით, აიზპუტეს სიმღერის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. ამ ღონისძიების შემდეგ, ქალებმა რეგულარულად დაიწყეს შეკრება და ჩამოაყალიბეს სტაბილური ანსამბლი, რომელიც დღემდე აგრძელებს საქმიანობას.

მომდევნო ათწლეულების განმავლობაში კოლექტივმა ფართო აღიარება მოიპოვა ლატვიასა და მის ფარგლებს გარეთ. 1967 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ლატვიის კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მოსკოვში. შემდგომში, 1977 და 1981 წლებში, ისინი მოსკოვში დაბრუნდნენ და ლატვიის ტრადიციულ კულტურას საერთაშორისო ასპარეზზე წარმოადგენდნენ.

მნიშვნელოვანი ეტაპი 1973 წელს დაიწყო სპექტაკლით „სუიტის უძველესი ქორწილი“ („Suitu kāzas“), რომლის რეჟისორი ანდრეის მიგლა იყო. სპექტაკლი ლატვიის მასშტაბით 49-ჯერ დაიდგა, მათ შორის რვაჯერ ლატვიის ეროვნულ თეატრში. მნიშვნელოვანია, რომ ამ დადგმაში მონაწილე მსახიობები თავად ადგილობრივი თემის წევრები იყვნენ, რაც მას ავთენტურობასა და კულტურულ სიღრმეს სძენდა. სპექტაკლი განახლდა 1990, 2002 და 2018 წლებში. იმავე წელს ანსამბლი ასევე გამოჩნდა მხატვრულ ფილმში „დაუბერე, ქარო!“ („Pūt, vējiņi!“) და თანამშრომლობდა ეროვნული თეატრის მსახიობებთან.

1993 წლიდან ხდება ანსამბლის საქმიანობის სისტემატურად დოკუმენტირება, რაც ადასტურებს ჩართულობის მუდმივად მაღალ დონეს. 1997 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროექტში „როლშტეინი სანაპიროზე“, რომელიც ვილნიუსშიც წარმოადგინეს.

„სუიტუ სიევას“ რეგულარულად მონაწილეობს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში, განსაკუთრებით ფესტივალში „ბალტიკა“; დადის გასტროლებზე გერმანიაში, პოლონეთში, ლიეტუვაში, ესტონეთში, საქართველოში, აშშ-ში, ხორვატიაში, უნგრეთში, იაპონიაში (მსოფლიო ფოლკლორიადა, 2000) და სხვ. ლატვიაში ხშირად გამოდის ტელევიზიასა და რადიოში და ჩართულია ერთობლივ სპექტაკლებში ცნობილ ხელოვანებთან და საცეკვაო ჯგუფებთან.

2004 წელს სუიტის რეგიონში ჩატარდა ბურდონული სიმღერის პირველი საერთაშორისო ფესტივალი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო „სუიტუ სიევას“. ფესტივალი რამდენჯერმე ჩატარდა - 2004, 2007, 2010, 2014, 2017 და 2024 წლებში - რაც ხაზს უსვამდა სუიტის მრავალხმიანი ბურდონული სიმღერის მნიშვნელობას. ბურდონული სიმღერის შემდეგი ფესტივალი 2027 წლის 13-15 აგვისტოს არის დაგეგმილი.

კოლექტივი აქტიურად არის ჩართული სეზონურ და საზოგადოებრივ ტრადიციებში ლატვიის მასშტაბით და რეგულარულად მღერის ქორწილებში, ფესტივალებსა და რელიგიურ ღონისძიებებზე.

ანსამბლი საგანმანათლებლო ასაქმიანოსაც ეწევა. პროექტში „Tēvu tevi laipu met“ (წინაპრებიაშენებენ ხიდს), რომელსაც მხარს კულტურის ეროვნული ფონდი უჭერს, ქალები მუშაობენ ბავშვებთან, ასწავლიან მათ ტრადიციულ სიმღერას, ხელსაქმეს, კულინარიასა და წესჩვეულებებს. ანსამბლი ასევე მონაწილეობს საბავშვო ფოლკლორულ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს ტრადიციების გადაცემას.

„სუიტუ სიევას“ წევრები არა მხოლოდ მომღერლები, არამედ ხელსაქმის გამოცდილი ოსტატები და ტრადიციების დამცველები არიან. ისინი კერავენ ტრადიციულ კოსტიუმებს, ხელსაქმობენ, ამზადებენ ტრადიციულ საკვებს და ამ უნარებს აქტიურად ასწავლიან სხვებსაც.

სუიტის კულტურული სივრცის იუნესკოს სიაში შეტანამ 2009 წელს მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი ამ მემკვიდრეობის მიმართ და გააფართოვა ანსამბლის საქმიანობა. 2016 წელს „სუიტუ სიევასმა“ მონაწილეობა მიიღო ალბომის „სუიტის ქორწილები: ქორწინება და საქორწილო სიმღერები“ ჩაწერაში, რომელიც საქორწილო ტრადიციებს ეძღვნება.

2025 წელს, ანსამბლის 70 წლის იუბილეს აღსანიშნავად, სუიტის კულტურული მემკვიდრეობის ფონდმა აღსუუნგას ხელოსნობის სახლში შექმნა მუდმივი გამოფენა სახელწოდებით „სუიტუ სიევას“

და გამოსცა წიგნი „სუიტუ სიევას“ წლების განმავლობაში“, რომელშიც ანსამბლის ისტორია და განვითარებაა აღწერილი.

დღეს ანსამბლს ხელმძღვანელობს ილგა პავარე და მის შემადგენლობაში დაახლოებით 18 წევრია. ჯგუფი აქტიურად აგრძელებს გამოსვლებს ლატვიასა და მის ფარგლებს გარეთ.

„სუიტუ სიევას“ ერთ-ერთია სუიტის კულტურული მემკვიდრეობის იმ უმნიშვნელოვანეს მატარებლებს შორის, რომელებიც ტრადიციების უწყვეტობას სიმღერის, განათლებისა და ყოველდღიური პრაქტიკის მეშვეობით უზრუნველყოფენ.

მარა ბურმეისტერე
კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი

ქართული სიმღერის მოამაგები

მიხეილ შავიშვილი **(1920-1099)**

გურული მრავალხმიანობის თითოეული ხმა უნიკალურია – თავშეკავებული მთქმელი, სინკოპირებული და მელოდიურად მოძრავი ბანი, კრიმანჭულის სიფიცხითა და რთული ნახტომებით გამორჩეული ხმა. კრიმანჭული გურული სიმღერის სიმბოლოდ იქცა და მის სტრუქტურაში ისეთ წონად როლს ასრულებს, რომ მკვლევრები გურულ სიმღერებს ორ ჯგუფად – კრიმანჭულიანად და უკრიმანჭულოდ ჰყოფენ. რთულია იმის ზუსტი გარკვევა, როდის გაჩნდა ეს ხმა, თუმცა აშკარაა მისი ორგანული შერწყმა გურულის ხასიათთან.

ერთ-ერთი გამორჩეული მოკრიმანჭულე იყო მიხეილ შავიშვილი – იშვიათი ტექნიკისა და ტემბრის მომღერალი. 1957 წელს მოსკოვში, სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე, მისმა შესრულებამ ჟიურის თავმჯდომარე ფილიპ ჟერარი გააოცა. ჟერარმა ვერ ირწმუნა, რომ ეს ხმა ადამიანს ეკუთვნოდა.

მიხეილი 1920 წელს, ჭანიეთში დაიბადა. დედა შესანიშნავი მომღერალი იყო და სწორედ მისი ტკბილი სიმღერა გახდა მიხეილის პირველი მუსიკალური შთაგონება. სიმღერას ბავშვობიდან ეზიარა: ჯერ ოჯახში, შემდეგ კი მეგობრებთან ერთად სკოლაში. მასზე დიდი გავლენა მოახდინა ნესტორ კონტრიძემ – ცნობილმა მომღერალმა და ლოტბარმა, რომლისგანაც პირველი რთული სიმღერები ისწავლა.

15 წლის ასაკში მიხეილი ვარლამ სიმონიშვილის ანსამბლში მღეროდა, შემდეგ კი სხვადასხვა კოლექტივის ხელმძღვანელადაც იმუშავა. პარალელურად, სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

მეორე მსოფლიო ომმა დროებით შეაჩერა მისი შემოქმედებითი ცხოვრება. მსახურობდა ფრონტზე, იყო ტყვეობაში და ორჯერ დაიჭრა. ომის შემდეგ სიმღერას დაუბრუნდა - ჯერ ვარლამ სიმონიშვილის ანსამბლში, შემდეგ კი სხვა გუნდებში.



1957 წელს ჯანსუღ კახიძემ მიიწვია ანსამბლ „შვიდკაცას“ სოლისტად. მისმა კრიმანჭულებმა ფურორი მოახდინა როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო ფესტივალებზე. შავიშვილი აცნობიერებდა, რომ საჭიროა ისეთი ანსამბლების შექმნა, რომლებიც ხალხს მისი კუთხის სიმღერის ღრმა არსს აზიარებდა.

ანსამბლ „შვიდკაცას“ მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები მთელ მსოფლიოს აღაფრთოვანებდა. მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ანსამბლში მღეროდა მრავალი გამორჩეული მომღერალი. მათგან ბევრმა სწორედ მიხეილ შავიშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართული სიმღერა და მის საიდუმლოებებში გაერკვა. ანსამბლში ოთხმოცამდე მომღერალი იყო ჩართული, თუმცა ერთდროულად შვიდკაცა 15-ზე მეტს არ ითვლიდა.

რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო - გურული, მეგრული, სვანური, იმერული, აჭარული და კახურ-ქართლური სიმღერები. მიხეილი სიმღერებს ჯერ თავად სწავლობდა და შემდეგ ანსამბლს ასწავლიდა. მრავალი ძველი სიმღერა აღადგინა, ზოგიც თვითონ შექმნა და „შვიდკაცას“ მეშვეობით ფართო საზოგადოებას გააცნო. მისმა ნამღერმა კინოშიც გაიჟღერა – ფილმებში „პალიასტომის ტბა“, „შეხვედრა წარსულთან“ და „დარიკო“ სწორედ მისი სიმღერებითაა გაფორმებული.

შავიშვილის მოღვაწეობა მხოლოდ „შვიდკაცათი“ არ შემოფარგლულა. სხვადასხვა დროს ის მრავალ ანსამბლს ხელმძღვანელობდა, რომლებმაც არაერთ გამარჯვებას მიაღწიეს. მისი გუნდი ოზურგეთის II სამუსიკო სკოლიდან 1961 წელს ოქროს მედლით დაჯილდოვდა საკავშირო ფესტივალზე. წარმატებული იყო სოფლების – ქაქუთის, ჯუმათის, ნაგომრის, ლაითურისა და მამათის ანსამბლებიც. 1977 წელს მუხაესტატეს გუნდმა საკავშირო ფესტივალზე ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ლანჩხუთის კულტურის სახლის გუნდი წარმატებით გამოვიდა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

მიუხედავად მისი დაუღალავი ღვაწლისა, შავიშვილი წუხდა, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ხალხური სიმღერებით. მისი ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, ბავშვები პრაქტიკულად გამოთიშულნი არიან ამ დიდ საქმეს და სკოლებში ბავშვთა ანსამბლები იშვიათია.

1974 წელს მიხეილ შავიშვილის თაოსნობით მახარაძის პიონერთა სასახლეში შეიქმნა საქართველოს პირველი ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „კრიმანჭული“. თავდაპირველად ანსამბლში მომღერალი მშობლების შვილები გაერთიანდნენ. თუმცა ჯგუფმა სწრაფად მოიპოვა აღიარება და პოპულარობა. „კრიმანჭული“ წარმატებით გამოდიოდა როგორც საქართველოში, ისე მოსკოვსა და ლენინგრადში, მათი კონცერტები გადაღებულია საქართველოს, სსრკ-ისა და იაპონიის ტელევიზიების მიერ.

1984 წელს მიხეილ შავიშვილმა ინსულტი გადაიტანა. ექვსი თვეში მდგომარეობიდან გამოვიდა, თუმცა ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა. ძველებურად მუშაობას ვეღარ ახერხებდა, წერაც კი უჭირდა. ამიტომ მისი პირადი არქივის ნაწერი მეუღლეს, ნათელა კალანდარიშვილს ეკუთვნის, რომელიც მუდამ გვერდით ედგა. „დედა რომ არ ყოფილიყო, მამა ბევრ რამეს ვერ შეძლებდა. ალბათ, 15 წლით ადრე წავიდოდა ამ ქვეყნიდან“, – იხსენებენ მისი ქალიშვილები – გიული და მადონა. „დედა ყველაფერში გვერდში ედგა. ექვს თვეში მდგომარეობიდან გამოვიდა, მაგრამ კრიმანჭული ვეღარ თქვა...“

1996 წელს, მიხეილ შავიშვილის დაბადებიდან 75 და შემოქმედებიდან 50 წლისთავი მშობლიურ ოზურგეთში აღნიშნეს. დარბაზი სახელოვანი ლოტბარის დამფასებლებით გაივსო. ანსამბლმა „შვიდკაცამ“ სცენაზე ეტლით შემოიყვანა თეთრჩოხიანი მიხეილ შავიშვილი. მქუხარე ტაშის ფონზე დარბაზი ფეხზე წამოდგა. სადამო ანსამბლ „კრიმანჭულის“ შესრულებით გაიხსნა, რომელიც წლები წინ სწორედ იუბილარმა ჩამოაყალიბა. „შვიდკაცამ“ რამდენიმე სიმღერით მიულოცა თავის უცვლელ ხელმძღვანელს. მიხეილ შავიშვილს საქართველოს პრეზიდენტის სახელით ღირსების ორდენი გადაეცა.

მომდევნო საათებში სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ელესა“, „ფესვები“, ილიკო სუხიშვილის სახელობის ოზურგეთის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია, გოგონათა ანსამბლი ოცნება, იადონი, მეგობრობა და სხვები. პატარა მოცეკვავეებმა სპეციალურად იუბილარისადმი მიძღვნილი ცეკვა წარმოადგინეს.

სადამოს დასასრულს იუბილარმა თქვა: „ამ წუთებში უდიდეს ბედნიერებას ვგრძნობ. ეს ისეთი სიხარულია, რომ ლაპარაკიც მიჭირს“... იმავე სადამოს ბატონმა მიხეილმა კრიმანჭულის სკოლის დაარსება დააანონსა, სადაც ბავშვები ამ ურთულეს ხელოვნებას დაეუფლებოდნენ.

1999 წლის 17 ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მიხეილ შავიშვილი გარდაიცვალა. იგი ოზურგეთის დრამატული თეატრიდან გაასვენეს. „შვიდკაცას“ წევრებმა საგალობლით გააცილეს თავისი მასწავლებელი, რომელსაც ბევრი ოცნება განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ ერთზე მუდამ ლაპარაკობდა: ბავშვთა კრიმანჭულის სკოლა და ლოტბართა აღზრდა. მეოცე საუკუნეს არაერთი მოკრიმანჭულე ახსოვს, მაგრამ საუკუნის ბოლოს მიხეილ შავიშვილის ხმა შეუდარებელი და დამაგვირგვინებელი იყო.

მიხეილ შავიშვილი იყო არა მხოლოდ ბრწყინვალე მომღერალი, არამედ ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენისა და მომავალი თაობებისთვის მისი გადაცემის ერთგული მსახური.

მასალა აღებულია წიგნიდან
ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. გურია. ტ. III

ქალთა ანსამბლი „რეხეული“ გურიიდან

ტრადიციული მუსიკა არ არის წარსულში ჩარჩენილი ხმა - იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც თაობებს შორის ხიდად იქცევა და კუთხურ იდენტობას ინახავს. სწორედ ამ იდეითა და გურული პოლიფონიისადმი უსაზღვრო სიყვარულით, 2008 წელს, სოფელ ლიხაურში მგალობელ-მომღერალ ქალთა ანსამბლი „რეხეული“ შეიქმნა. ეს დასახელება შემთხვევითი არ არის: იგი მომდინარეობს სოფელ ლიხაურის პირველი სახელწოდებიდან, რომელსაც ლიხაურის შუა საუკუნეების სამრეკლოს ხუცური წარწერა ადასტურებს.



თავდაპირველად ანსამბლი მხოლოდ საღვთო ლიტურგიაში მონაწილეობდა და ლიხაურის ღვთისმშობლის შობისა და აჭის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრებში გალობდა. დროთა განმავლობაში „რეხეულმა“ აქტიურად დაიწყო მონაწილეობის მიღება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში, როგორც ადგილობრივ, ისე სრულიად საქართველოს მასშტაბით.

ანსამბლის ხელმძღვანელია მუსიკის პედაგოგი, ლოტბარ-რეგენტი, ფოტინე გორდელაძე. მისი, როგორც ხელმძღვანელის, მთავარი მიზანი

თავიდანვე იყო არა სიმღერების მექანიკური შესრულება, არამედ გურული და, ზოგადად, ქართული სიმღერა-გალობის სიღრმისეული შესწავლა, შემსრულებლის ინდივიდუალიზმის წარმოჩენა და იმ უნიკალური სათქმელის გაცოცხლება, რაც მხოლოდ ტრადიციულ მრავალხმიანობას ახასიათებს. დღესდღეობით, შემოქმედებითი პროცესის სათავეში, ფოლკლორულ ჟანრს კიდევ ერთი ლოტბარ-რეგენტი, მარიამ დუმბაძე უძღვება.

2017 წლიდან „რეხეული“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ანსამბლია. დღეს იგი 22 წევრისგან შედგება და აქტიურად მუშაობს ქართული საეკლესიო გალობის, ხალხური სიმღერის, აკადემიური და ქალაქური მუსიკის ჟანრებში. აღსანიშნავია, რომ ანსამბლის წევრების უმრავლესობას არ აქვს პროფესიული მუსიკალური განათლება, თუმცა მათ აერთიანებთ მთავარი - გამორჩეული მუსიკალური სმენა და ფოლკლორისა თუ აკადემიური სიმღერისადმი უდიდესი სიყვარული.

ახალი წევრების შერჩევის კრიტერიუმები საკმაოდ მკაცრი, თუმცა არაორდინარულია. ვოკალურ მონაცემებთან ერთად, უდიდესი ყურადღება ექცევა ტემბრულ თავსებადობას, გუნდურობის განცდას და, რაც მთავარია, ტრადიციული მუსიკის შინაგან აღქმას. როგორც თავად

ანსამბლის წევრები აღნიშნავენ: „ჩვენთვის „რეხეული“ მხოლოდ რეპეტიციების ადგილი არ არის, ეს არის სივრცე, სადაც ერთმანეთს ვუსმენთ, ვსწავლობთ და ერთად ვიზრდებით“.

ანსამბლის რეპერტუარი მრავალფეროვანია და სხვადასხვა ჟანრს მოიცავს, თუმცა ცენტრალური ადგილი, ბუნებრივია, გურულ სიმღერებსა და ქართულ ტრადიციულ გალობას უჭირავს. რეპერტუარის შერჩევისას ანსამბლი განსაკუთრებული სიფრთხილითა და პატივისცემით ეპყრობა პირველწყაროებს. მასალებს ვეძებთ ძველი საარქივო ფონდებიდან, ცნობილი ლოტბარების მემკვიდრეობიდან და ეთნოგრაფიული ექსპედიციების ჩანაწერებიდან. „რეხეულისთვის“ დიდი ფუფუნებაა, რომ, ახალი გურული სიმღერის შესწავლისას, შესაძლებლობა გვაქვს, კონსულტაცია გავიაროთ გურული სიმღერის დიდოსტატთან, ანსამბლის მეგობართან, გულშემატკივართან და მრჩეველთან - ბატონ ტრისტან სიხარულიძესთან.

როგორც ანსამბლის თანახელმძღვანელი ვფიქრობ, რომ „რეხეულის“ ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ჟანრული მრავალფეროვნებაა - ანსამბლი წარმატებით უთავსებს ერთმანეთს ტრადიციულ ფოლკლორს, საეკლესიო გალობასა და სხვა მუსიკალურ მიმართულებებს, რაც მის შემოქმედებით ხელწერას უნიკალურს ხდის.

ანსამბლის ყოველდღიურობა საკმაოდ დინამიკური და დატვირთულია. რეპეტიციები კვირაში რამდენჯერმე ტარდება და ამ შემოქმედებით პროცესში თანაბარი ყურადღება ეთმობა როგორც ხალხურ შემოქმედებას, ისე აკადემიურ და ქალაქურ მუსიკას.

„რეხეული“ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. ანსამბლს ჩატარებული აქვს არაერთი სოლო კონცერტი საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სწორედ ამ საერთაშორისო აღიარების დასტურია მიმდინარე წლის ივნისში ანსამბლის საგასტროლო ტურნე ლიეტუვაში, კერძოდ, ქალაქ კაუნასში, საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე „Atataria Lamzdžiai 2026“, სადაც „რეხეულმა“ ღირსეულად წარადგინა ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურა.

სამომავლო გეგმები კიდევ უფრო ამბიციური და მრავალფეროვანია. უცხოური ტურნეების პარალელურად, ანსამბლი აპირებს გააფართოვოს საგანმანათლებლო საქმიანობა, მოაწყოს სოლო კონცერტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ჩაატაროს მასტერკლასები გურული ახალგაზრდებისთვის და გამოსცეს კიდევ ერთი აუდიოალბომი.

მარიამ დუმბაძე
ანსამბლის თანახელმძღვანელი

ტრიო „ნანინა“ ფინეთში

2025 წლის ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში ჰელსინკის ეწვია ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ სამი წევრი - ტრიო „ნანინა“, რომელმაც ვიზიტის ფარგლებში ჩაატარა მასტერკლასები და კონცერტები, ასევე, მონაწილეობა მიიღო ღვთისმსახურებაში ადგილობრივ ეკლესიაში. ყოველივე ამან ქართული მრავალხმიანი სიმღერა ახალ აუდიტორიას გააცნო და ამ სასიძღურო ტრადიციისადმი ინტერესი გააღრმავა მათში, ვინც მას უკვე იცნობდა.



„ნანინასთან“ ჩემი პირველი შეხვედრა 2013 წლის ზაფხულში, თბილისში შედგა. იმ დროს ნაკლებად სავარაუდოდ მეჩვენებოდა, რომ ერთ დღეს იგივე მომღერლების გამოსვლას ჩემს მშობლიურ ქალაქ ჰელსინკიში მოვისმენდი.

ის, რაც ნაკლებად სავარაუდოდ ჩანდა, თერთმეტი წლის შემდეგ რეალობად იქცა, როდესაც ტრიო „ნანინა“ ფინეთში ჩამოვიდა.

ტრიოს შემადგენლობაში შედიოდნენ: მაკა ხარძიანი – „ნანინას“ დირექტორი, ვიქტორია სამსონაძე – ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ია ანდლულაძე – ნანინას ყველაზე ახალგაზრდა წევრი. მოგვიანებით მივხვდი, რომ ის ბავშვობაში უკვე მენახა 2013 წელს გამართულ კონცერტზე გამოსვლისას (ამ

კონცერტზე „ნანინას“ წევრთა შვილებიც გამოდიოდნენ).

ვიზიტის ორგანიზება ფრთხილ დაგეგმვასა და მოქნილობას მოითხოვდა, განსაკუთრებით საქართველოსა და ფინეთში დასვენების სეზონის გამო.

მასტერკლასებზე დასასწრებად მსურველები არა მხოლოდ დედაქალაქიდან, არამედ ფინეთის სხვა რეგიონებიდანაც იყვნენ. ფინელების გარდა, იყვნენ მონაწილეები გერმანიიდან და უნგრეთიდანაც. მასტერკლასები გაიმართა ფერად კაფეში „ტაიკალამპუ“ (რომელიც ადრე ქართული სიმღერის ღონისძიებების ჩატარების ადგილსაც წარმოადგენდა) და მსოფლიო მუსიკის ცენტრში. მასტერკლასებზე დამსწრეებმა შეისწავლეს სიმღერები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. სწავლების მეთოდი იყო მკაფიო, მიმზიდველი და ხელს უწყობდა აქტიურ ჩართულობას. მასტერკლასის ბევრმა მონაწილემ აღნიშნა ერთიანობის ძლიერი განცდა და სწავლების უშუალოება სიმღერის მეშვეობით. მასტერკლასებისა და კონცერტების დროს ტრიოს წევრებს ეცვათ ქართული ტრადიციული სამოსი, რაც აძლიერებდა კავშირს მუსიკას, მის კულტურულ ფესვებსა და ცოცხალ ტრადიციებს შორის. ია ჩაწერას ახორციელებდა, თუმცა ასევე, შედგა მისი, როგორც მასტერკლასის პედაგოგის დებიუტიც.

სწავლების გარდა, ტრიომ გამართა ორი კონცერტი და ღვთისმსახურებაში მიიღო მონაწილეობა ლარს სონკის მიერ დაპროექტებულ კალიოს ეკლესიაში, რომელიც ჰელსინკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ლუთერანული ეკლესიის აკუსტიკამ მრავალ ხმიან სიმღერებს - როგორც სასულიეროს, ისე საეროს - ძლიერი ჟღერადობის საშუალება მისცა, რამაც მიიზიდა მსმენელები, რომლებიც სხვა შემთხვევაში შუა კვირიაში გამართულ საეკლესიო

ლონისძიებას ვერ დაესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ქართული სიმღერა მანამდე არასდროს მოესმინათ, მაგრამ ახლა უფრო ხშირად ისურვებდნენ მის მოსმენას. მალში და ტაიკალამპუს კაფეში გამართული კონცერტები მსმენელმა თბილად მიიღო.

რეპერტუარში შედიოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის და ქალაქური სიმღერები, როგორც a cappella, ისე ჩონგურის, აკორდეონისა და გიტარის თანხლებით. მსმენელი მრავალფეროვანი იყო, შედგებოდა ფინელებისგან, ქართული თემის წევრებისა და სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანებისგან, რომლებიც ქართული ტრადიციული მუსიკის ძალამ გააერთიანა. ზოგიერთი ადამიანი, ათწლეულების



შემდეგ, ამ კონცერტებზე შეხვდა ერთმანეთს. „ნანინას“ ვიზიტის წარმატება შესაძლებელი გახდა მჭიდრო თანამშრომლობისა და კოლექტიური ძალისხმევის წყალობით. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით მარია იანსონსა და სოილი მუსტაპას საორგანიზაციო საქმიანობაში, კომუნიკაციაში, რეგისტრაციასა და პრაქტიკულ მოსამზადებელ ღონისძიებებში გაწეული დიდი დახმარებისთვის მთელი კვირის განმავლობაში. (ორივე მათგანი ქართული ხალხური სიმღერების აქტიური შემსრულებელია და ადრეც ჰქონდათ მასტერკლასების ორგანიზების გამოცდილება). აღსანიშნავია აგრეთვე მონაწილეებისა და კონცერტზე დამსწრე მეგობრების სპონტანური დახმარებაც. ეს დახმარება გამოიხატებოდა, მაგალითად, მასპინძლობის, პოპულარიზაციის, ლოჯისტიკის ფორმით, რაც ასახავდა მთელი ვიზიტისთვის დამახასიათებელი ერთიანობის სულისკვეთებას. ამ ყველაფერმა მე (სემინარის პასუხისმგებელ ორგანიზატორს) გამახსენა, თუ რამდენი კომპონენტი უნდა ფუნქციონირებდეს იმისათვის, რომ ვიზიტი და მასტერკლასი წარმატებული და სასარგებლო იყოს, როგორც მონაწილეების, ისე პედაგოგებისთვის. ანსამბლის წევრების მოქნილობა და შეგნებული დამოკიდებულება, სასიამოვნოს ხდიდა თანამშრომლობას და ინარჩუნებდა მაღალ მოტივაციას რთული ამოცანების გადასაჭრელად.

ტრიო „ნანინას“ ვიზიტმა ჰელსინკში ხელი შეუწყო ქართული მრავალხმიანი სიმღერის შესახებ ცოდნის გაღრმავებას და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა როგორც მონაწილეებზე, ისე აუდიტორიაზე. მასტერკლასების დროს შესწავლილი სიმღერები ადგილობრივი ანსამბლების რეპერტუარის ნაწილი გახდა. მათ შორის დავასახელებ რამდენიმეს: სვანური „ელია ლ'რდე“, გურული „ნანინა“, აჭარული „ხინწკალა“, თუშური „მეცხვარის სიმღერა“ გარმონით, მესხური „მზე შინა“ ფერხულით და სხვა. ამ მასშტაბის მასტერკლასების ორგანიზებაში ჩადებული მნიშვნელოვანი ძალისხმევა ნამდვილად ღირდა იმ კმაყოფილებად, რომელიც „ნანინას“ ვიზიტმა მოგვითანა. გარდა ამისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული მუსიკალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, რადგან ეს მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და გახანგრძლივების საწინდარია.

მერი-სოფია ლაკოსი

მუსიკისმცოდნე

კალაჰარის უდაბნოს ბუშმენების პოლიფონია

კალაჰარის უდაბნოში, ნამიბიასა და ბოტსვანას საზღვარზე მცხოვრები ხალხის, სანების (რომელთაც უმეტესად ბუშმენების სახელით ვიცნობთ) ზოგიერთი ეთნომუსიკალური ტრადიცია მკაფიო ფუნქციონალური მრავალხმიანობით გამოირჩევა. კონკრეტულად ეს ხალხი სანების ერთ-ერთი განშტოებაა და ჟუცჰუანსებად (Zhu|'hoansi) მოიხსენიებიან.

ამ პოლიფონიურ ტრადიციას უმეტესწილად ქალები მიმართავენ, ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ სწორედ ქალებისთვის სახასიათო ჟანრებია აქ გამოყენებული - სამკურნალო და განწმენდისა, ასევე - ამინდის გამოწვევისა. სამკურნალო რიტუალში ქალები ცეცხლის ირგვლივ სხედან და ტაშის (ზოგჯერ - დასარტყამი მარტივი იდიოფონების) თანხლებით მღერიან, ხოლო მამაკაცები ცეკვავენ (ზოგჯერ რეჩიტატივითაც ჰყვებიან მღერას, ასევე ფეხებზე გამოზმული საჩხარუნოებით რიტმს გამოყოფენ) და ხშირად ტრანსის მდგომარეობას აღწევენ. ასეთ ტრანსში მყოფი მამაკაცის - შამანის - თავში მწიფდება ენერგია „ნომ“ ((n/um), რაც მკურნალს ეხმარება, სოფლიდან და ცალკეული დაზარალებულიდან ავადმყოფობა განდევნოს. ეს პრაქტიკა ორიგინალურია იმ მხრივ, რომ



მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტრანსში სწორედ ქალები ვარდებიან მამაკაცების მუსიკალური შემსრულებლობის ფონზე.

ასეთ მღერაში შინაარსიანი ტექსტი არ გამოიყენება, მხოლოდ - სამღერისები, ე.წ. „გლოსოლალიები“, ძირითადად იმის გამო, რომ თავად მუსიკალური ტექსტი წყვეტილია, „ჰოკეტის“ („სლოკინის“) ტექნიკას მიმსგავსებული. უფრო „მოუქნელი“

სიტყვების ნაცვლად გამოიყენება ერთგვარი „ტკაცუნა ბერები“ (Click sounds), რაც ზოგადად იოდლის თანმდევი მოვლენაა. ხშირად, ამგვარი ხმოვანებით შემსრულებლები მიზანმიმართულად ბაძავენ ფრინველების ხმებს.

ასეთ შემოქმედებით პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია განეკუთვნება იოდლის ტექნიკას. ასევე რიტმიკის გართულებისაკენ სწრაფვას, რის გამოც ხშირია ხმათა გადანაცვლება და ეგზოტიკური აკორდების ჩვენება. რა მხატვრული შედეგიც ერთგვარად ავსტრიულ სამხმთან იოდლსაც წააგავს. მაგრამ ამგვარი ხმოვანება მაინც ბევრად უფრო ახლოა პიგმეების შეძახილებთან იოდლთან, სწორედ იმათთან, რომელთა ნიმუშიც, „ჩაკრულოსთან“ ერთად კოსმოსში მიფრინავს.

საინტერესოა, რომ ჟუცჰუანსების სიმღერას არ ჰყავს წამყვანი მომღერალი, სოლისტი. ცალკეულ, მაგალითად, ოთხთაგან თითო მომღერალს აქვს „საკუთარი“ მცირე მუსიკალური ფრაზა,

რომელსაც საერთო მუსიკალურ ქსოვილში გარკვეულ დროს, აქცენტირებული რიტმით - სინკოპით ან პუნქტირით ათავსებს ხოლმე (თუმცა, ზოგჯერ მაინც შეიძლება ორი ფენის - ზედა ხმებისა და ბანების გამოყოფა). შედეგად იქმნება დასავლელი მსმენელისთვის საკმაოდ რთული პოლიფონიური ქსოვილი. სწორედ ამ მხრივ, მოტივურ მრავალხმიანობასთან ერთად საინტერესოა პოლირიტმია, მაგალითად 3/4 მეტრი - 4/4-თან შეთანხმებულად.

საინტერესოა ასეთი ამ ტრადიციის ჰარმონიულ-ფუნქციონალური პრინციპი: ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ხშირად ერთმანეთთან სეკუნდით დამორებული ორი ალტერნატიული საფეხური მონაცვლეობს ხოლმე. კილო აფრიკისთვის ტრადიციულ პენტატონიკურ საფუძველზეა დამყარებული. აღნიშნული მუსიკალური სტილით მღერიან კაცებიც - ცალკე და ქალებთან ერთად - იოდლის მსგავსი მეთოდით.

ჟუცჰუანსები სიმღერას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ - უმეტესად ავადმყოფობის სავარაუდო წყაროს ან ზემოქმედების უნარის მქონე არსების სახელით, ასეთებია: გარდაცვლილთა სულები, ცხოველები, ბუნების სტიქიები; ხოლო თავად სასიმღერო სტილებს და ჟანრებს სახელები არ აქვთ. სიმღერები ზოგჯერ განახლდება ხოლმე - როდესაც გარდაცვლილთა სულები ადამიანებს გამოუცხადებენ, განსაკუთრებით - ტრანსში მყოფ შამან კაცებს.

ჟუცჰუანსებს აქვთ სხვაგვარი მღერის სტილიც. მაგალითად ზოგიერთ საფერხულო სიმღერებში უფრო მკაფიოდ გამოიყენება ორი ფენა - ზედა ხმებისა - ერთმანეთთან ანტიფონურად მოპასუხეებისა და ბანებისა. მოტივურად და ჰარმონიულად ამგვარი შესრულება ზემოთნახსენები კონტრაპუნქტული შემახილების მსგავსია. თუმცა უფრო მეტი მსაგვსება ასეთ პოლიფონიურ შემახილებთან იგივე ბუშმენების ამ განშტოების ინსტრუმენტულ ანსამბლურ შესრულებას აქვს, ძირითადად - მარიმბა „დუნგოძისზე“ (d`ung`otz`is`1) (ქსილოფონის ტიპის საკრავზე). აქვე უნდა ითქვას, რომ აქ უკრავენ მუსიკალურ მშვილდ „პლურიარკაზე“ (Pluriarc), რომლის სიმის ცალ მხარეს პირთან მიიტანენ და ასეთი რეზონატორით ხმას უცვლიან, ასევე არფაზე, სახელად „გოკაცე“ (g'aokatse) რომელზეც ასევე ობერტონული ხმოვანება მიიღება. „ტრანსულ ხმოვანებასთან ახლოს დგას ასევე ზანზალაკების მსგავს საკრავთან ერთად მღერა.

ჟუცჰუანსები მსგავსი მოტივებით მღერიან შემდეგი ჟანრის ვოკალური რიტუალებისას: ბავშვის დაბადებისას, გოგონების და ბიჭების ინიციაციისას, ნადირობისას, შემკრებლობითი მუშაობისას, ბავშვის დასამშვიდებლად და გასართობად.

თუმცა ზემოაღნიშნული ტრანსის განსაკუთრებული ცეკვა მაინც გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით, თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ რიტუალად ითვლება. ამას ადასტურებს იმავე ადგილებში აღმოჩენილი 30 000 წლის კლდის მხატვრობა, სადაც მსგავსი სცენებია აღბეჭდილი. თუმცა გასაკვირი არც ისაა, რომ დღეს ეს ტრადიცია ხშირად ტურისტებისთვის საჩვენებელ წარმოდგენად იქცევა ხოლმე.

თამაზ გაბისონია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანსამბლ „იალონის“ მიერ აჟღერებული ღვთისმშობლის პარაკლისი სრულიად გალობით

„დიდება შენდა ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო ქალწულო მარიამ, დიდება შენდა!!! რამეთუ აჰა ესერა 14 წელი არს მას შემდეგ, რომელ დროსაც ვისწავლე სრულიად პარაკლისისა ესე გალობანი, და დღეს 1917 წ. 12 ივლისს მადლითა და შეწევნითა შენითა სრულ იქმნა ნოტებზე დაწერაცა. მღვდ. მონაზ. ექვთიმე გელათისა“.

წმინდა ექვთიმე კერესელიძემ ღვთისმშობლის პარაკლისის სანოტო ხელნაწერს ასეთი ანდერძი დაურთო. მისი ნაშრომი დროებით მასთან ერთად დაიმარხა, თუმცა ღვთის განგებით ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა და ჩვენი საგანძურის გაცნობა 1990-იანი წლებიდან დაიწყო და ეს პროცესი დღესაც აქტიურად გრძელდება ტაძრებში თუ სასწავლო/კვლევით დაწესებულებებში.

ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში არის განგებები, რომელიც კონკრეტული დროის მონაკვეთს ან კალენდარს არ ექვემდებარება და თავისი დამოუკიდებელი მსახურება გააჩნია. ასეთია პარაკლისი. ყველაზე მეტად გავრცელებულია მაცხოვრის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისები, თუმცა წმინდანთა ხსენების დღეებზე, საზოგადო მსახურებისას ან პირად კანონში მორწმუნე მრევლი სურვილისამებრ ადასრულებს მას. ქართულ სამგალობლო ტრადიციაში წმინდა ექვთიმე კერესელიძის მიერ ნოტირებულია მაცხოვრის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სავედრებელი პარაკლისები სრულიად გალობით, რომელიც უკვე 100 წელზე მეტია ჩაწერილია ნოტებზე და ელოდება აჟღერებას. ქართული გალობის ღვთისმსახურებაში დაბრუნების პირობებში სხვადასხვა გუნდის მხრიდან იყო მცდელობა აღნიშნული მსახურების გალობით აღვლენისა. ასე მაგალითად, 2000-იან წლებში ალავერდის მონასტერში შესრულდა პარაკლისის მსახურება გალობით, თუმცა ასეთი ფაქტები ხშირი არ იყო. მახსოვს, 2009 წლიდან ახლადშექმნილი მაგალობელთა გუნდის „იალონის“ პირველი თაობა როგორი რუდუნებითა და ინტერესით სწავლობდა ღვთისმშობლის პარაკლისის ულამაზეს ძლისპირებსა და სხვა საგალობლებს, რომელიც მის პირველ აუდიო-ალბომში „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები“ (ხმის რეჟისორი დათიკო ხოსიტაშვილი, 2010 წელი) აისახა. „იალონი“ პერიოდულად უბრუნდებოდა პარაკლისის საგალობლებს და სხვადასხვა ფორმით - ღვთისმსახურებაზე თუ საკონცერტო რეპერტუარში აჟღერებდა მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისის საგალობლებს.

ანსამბლი იალონი ახალი შემადგენლობით 2025 წლის გაზაფხულიდან შეუდგა მასშტაბური პროექტის განხორციელებას, რომელიც გულისხმობდა ღვთისმშობლის პარაკლისის საგალობლების აჟღერებას სრულიად გალობით. ანსამბლის წევრებმა შეისწავლეს პარაკლისის მსახურების 123 ნიმუში და 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გამოწვევებით სავსე შრომის შედეგი წარუდგინეს მსმენელს, მლოცველ მრევლს. ანსამბლმა 5-ჯერ იმსახურა თბილისის მახლობლად წოდორეთის წმიდა გიორგის მამათა მონასტერში, იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში -

გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში. ივლისიდან ოქტომბრამდე ანსამბლი ესტუმრა - ოზურგეთის (ლიხაურის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია), ზუგდიდის (დადიანების კარის ეკლესია) და სარფის დედათა მონასტრებს. ამ პროექტის განხორციელებაში ჩაერთნენ აღნიშნული ეკლესია-მონასტრების მღვდელმთავრები, სასულიერო პირები, რომელთა ლოცვა-კურთხევითაც აღესრულა პარაკლისის მსახურებები. იალონის სტუმრობას დიდი სიხარულით და გულმოდგინებით მოეკიდნენ გუნდის რეგენტები და გოგონათა და ვაჟთა გუნდები, ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც იალონთან ერთად მიიღეს მონაწილეობა ღვთისმსახურებაში. იალონის პროექტი გარდა პარაკლისის მსახურებისა, მოიცავდა კონცერტს და ექსპედიციას აღნიშნულ რეგიონებში ადგილობრივ გუნდებთან ერთად. ასეთი იყო 2025 წლის 26 სექტემბერს, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში დაგეგმილი საღამო, სადაც ანსამბლ „იალონთან“ ერთად მსმენელის წინაშე წარსდგნენ ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები: „შემოქმედი“ და „რეხეული“, ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლის გუნდი მარიამ დუმბაძის ხელმძღვანელობით, სპეციალური მოწვევით კონცერტს ამშვენებდა ცნობილი მომღერალი – რეზული მჟავანაძე.

15 წლიანი ინტერვალის შემდეგ, საქართველოში (ამჯერად დასავლეთში) შედგა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისი სრულიად გალობით. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით. ღვთისმშობლის პარაკლისის აუდიო ჩანაწერი განთავსებულია ანსამბლ „იალონის“ Youtube-არხზე https://www.youtube.com/watch?v=LbA5mS0I_Cg და მისი მოსმენა ყველას შეუძლია. მუსიკალური თვალსაზრისით აღნიშნული პარაკლისის შესწავლა და შესრულება მოითხოვს უდიდეს შრომას, ენერგიას და საშემსრულებლო ოსტატობას, რასაც იალონის ხელმძღვანელმა - ქალბატონმა ნინო ნანეიშვილმა და გუნდის წევრებმა, მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით გაართვეს თავი. ანსამბლ „იალონს“ ვუსურვებთ არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელებას, ღვთის სადიდებლად და ქართული მუსიკალური კულტურის გასავრცელებლად და სასიკეთოდ!

ეკატერინე ყაზარაშვილი
*თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
საეკლესიო მუსიკის მიმართულების სპეციალისტი*

სვანების საიქიო

(ნაწილი 1)



საიქიო სვანებს თავისებურადა აქვთ წარმოდგენილი; იგი ვრცელი მინდორია, დაფარული მწვანე და მუდამ ნორჩის ბალახით. ზემოდან ცა აფარია, აქვს ერთი კარი სულების შესასვლელი. ცხონებულნიც და წაწყმენდილნიც, ანუ, სვანურიდან რომ პირდაპირ გადმოვთარგმნოთ, კარგის სულისა და ცუდის სულის კაცები (ხოჩა ი ხოლა ლაქვნა მარე) ამ კარში შედიან. იქ კი ცხონებული კარგი სასულებითსკენ (ხოჩა ლაქუნ) უხვევს, ცოდვილი კი ცუდი სასულებითსკენ (ხოლა ლაქუნ). კარგი სასულებითი, ან ქართულად სამოთხე, ამნაირად არის მოწყობილი: როგორც ნათქვამია, გაშლილია ტრიალი მინდორი; შუაში ბრძანდება ქრისტე, რომელსაც წინ უდგას გრძელი და მუდამ აუღებელი ტაბაგი, სხვადასხვა საწოვავით სავსე. იქაურობას მზე ანათებს; სადაც ქრისტე ბრძანდება, იქ უფრო გაბრწყინებულია მზით და ამიტომაც ხალხი ეძახის

„მ'ჟარს“ (მზიანი). ქრისტეზე დაშორებული ადგილები სამოთხისა მკრთალად არის განათებული, თითქო იქ მზე ღრუბლებიდან იყურებოდეს და ამიტომ იმ ადგილს ჰქვია „მუღიირს რიჰარ“ (მკრთალი სინათლე). ხორავით სავსე ტაბაკს შუაზე ქრისტე უზის, აქეთიქით ცხონებულნი. როგორც ქრისტე, ისე სულნი მიცვალებულთა კმაყოფილდებიან ყურებით, ხორავის დაყნოსვით, რადგანაც აქ სმა-ჰამა არ შეიძლება. თითოეულ სულს მიცვალებულისას რომელიც ღირსი გამხდარა ქრისტეს ტაბაკის მონაწილეობისა (ქრისტე ტაბაგდუვ ჯიგად), წინ უწყვია სააქაოს იმის ჭირისუფალთაგან, ან თავისს სიცოცხლეშივე თავისის ხელით დამზადებული საკურთხი; ეს სრული მისი საკურთხება; მიზიარ-მოზიარება საკურთხისა, ან ნაკურთხ საწოვავისა აქ იშვიათია, თუმცა ახლო ნათესავებში არც უიმისობა არის. ეს კია, რომ თვით გაჭირებული სული უფროთხის სხვის სამადლო საკურთხს, რადგანაც ერთი, რომ თავმომწონე სულისათვის ეს, ცოტა არ იყოს, სასირცხვილოა და მეორეც საყვედურს გამოიწვევს იმისაგან, ვინც თავის წილ საკურთხს უზიარებს.

მიცვალებულთა სულნი, წაწყმენდილნიცა და ცხონებულნიც, სვანებს წარმოდგენილი აქვსთ, როგორც ლანდები. იმათ ის ტანისამოსი აცვიათ, რომელიც ჩაჰყვანთ საფლავში და ან ის, რაც შემდეგში ეკურთხათ, თუკი ეს უმჯობესია. თუ მიცვალებულს რამდენჯერმე ეკურთხა ახალ-ახალი ტანისამოსი, მაშინ ამ ახალს თვითონ ჩაიცვამს და გამონაცვალს უჭირისუფლო, გაჭირებულ სულს გადასცემს „მადილი გუნდა“ (მადლის გულისათვის). ორი წყვილი ტანისამოსი მიცვალებულისათვის საჭიროა და ჭირისუფლებისათვის სავალდებულო: ერთი, როგორც ნათქვამია, საფლავში უნდა ჩაჰყვეს და მეორე შემდეგში ეკურთხება, თუ კაცმა თავის

სიცოცხლეშივე არ იკურთხა ეს მეორე წყვილი ტანისამოსი. რაც ამაზე მეტი იქნება, ის სასიამოვნოა მიცვალებულისათვის და სარგო ჭირისუფლებისა, რადგანაც მადლიერი სულის მაგიერს სიკეთეს გარდაუხდის ჭირისუფალს, რაც ქვემოთ იქნება ნაჩვენები. მამაკაცს საიქიოშიც, რასაკვირველია, თან ახლავს ყველა იარაღი, დედაკაცს თავის სამკაული. მიცვალებულთა სულები სასულეთში, ამ ტრიალს მინდორში, როცა უნდათ დასეირნობენ, როცა უნდათ ტაბაკს უსხედან და ქრისტეს „ყურებით სძლებიან“ (ქრისდე ლისგდინ იბზიხ) და ეს შეადგენს იმათს ნეტარებას. ერთმანეთში მუსაიფობენ დაბალის ხმით, ერიდებიან ყოველს გვარს ხმაურობას. ხშირად აქვსთ მუსაიფი თვით ქრისტესთანაც. ეს გახლავს სვანების სამოთხე, სადაც განისვენებენ „სულნი მართალთანი“, საღმრთო წერილის სიტყვით.

კარგის სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტლივ წყვდიადი სუფევს (მუშვირ უტკვინ). აქ არის სხვათა შორის ფისის ტბა (ფისემიგვიზ). ეს არის ცუდი სასულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (ხოლა ლაქუნ). ეს არის სამყოფი წაწყმედილ სულებისა; იგინი ვერა ჰხედავენ ვერც ქრისტეს, ვერც იმის ნათელსა და ტაბაკს. ისე ბნელა, რომ ერთი მეორეს ვერ არჩევს. ზოგის აზრით, საკურთხი ამათაც მოსდით, მაგრამ ყველაფერი უშნო და უგემურია, რადგანაც სიბნელეში უნდა მოიხმარონ (სვანს დიდ სირცხვილად მიაჩნია ამ ქვეყნადაც სიბნელეში სმა-ჭამა). ზოგის აზრით, ამათთვის დამზადებული საკურთხი ქრისტეს განკარგულებით ურიგდებათ იმ ცხოვნებულს სულებს, რომელთაც ამ ქვეყნად ჭირისუფალი არავინ დარჩენიათ, რომ საკურთხი დაუმზადოს თავის დროზე. სვანებს სხვათა შორის ისიცა სწამთ, რომ, თუ ჭირისუფალმა საკურთხი გაუხშირა წაწყმედილს სულს, მაშინ ქრისტე შეუნდობს ცოდვებს და სამოთხეში გადაიყვანს. ესევე შესაძლებელია, თუ ცხოვნებულმა სულებმა შესთხოვეს ქრისტეს, რომ რომელიმე წაწყმედილს სულს შეუნდოს ცოდვები (ქრისდე ლოხხვააშნი, ლახსარვინი). ფისის ტბაში ჩაცვივნულნი არიან მირონის გამტეხნი.

მკითხველი ჰხედავს, რომ სვანების ჯოჯოხეთი ან სასულეთი ისეთი საშინელება არ არის, როგორადაც იმას აგვიწერს ხოლმე ჩვენი სარწმუნოება, ე. ი. სვანეთის სასულეთში არ არის „ცეცხლი გეენისა“ და დაუშრეტელი კუპრის ტბა-მდინარეები, ქაჯ-ემშაკთა ლეგიონი, გველ-ვეშაპნი და სხვანი მრავალნი. სვანების კარგი სასულეთიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუვარდება ქრისტეს სასუფეველსა. შესანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა აქვს და სულიწმიდის ხსენება სულ არ არის. სვანი არასოდეს არ გაურევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს. პირველს ეძახის „სადირბათ“ (საღმრთო) და მეორეს „საქუნ“ (სულის საკურთხი).

არასოდეს სვანი მამა ღმერთს არ შესთხოვს მიცვალებულის სულის ცხოვნებას, ეს თითქოს იმისი საქმე სულ არ არის.

სვანების აზრით, მომაკვდინებული ცოდვა არის მარტო ერთი მირონის გატეხა (დასთან, დედასთან და დაახლოვებულს ნათესავთან შეცდენა სვანეთში არავის გაუგონია და ამიტომაც საიქიოს იმის სასჯელზე ლაპარაკი არსად არ არის), მარტო ამათთვის არის განმზადებული ფისის ტბა. ამ ცოდვის ჩამდენნი საუკუნოდ უნდა იტანჯებოდნენ ფისის ტბაში და ვერაფერი საკურთხი იქიდან ვერ იხსნის იმათ. დიდი ცოდვა არის კაცის კვლა და ადგილის საზღვრის სხვის ადგილში შეწევა. პირველის ცოდვის ჩამდენი საიქიოს ისჯება იმითი, რომ მოკლულის სული მუდამ უკან

დასდევს მკვლელს, დაჰბლავის და ამითი უწუხებს სულს. მკვლელი სცდილობს დაემალოს სადმე, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც ეს ქრისტეს ბრძანებაა. სხვის ადგილების საზღვრების მიმთვისებელი, მომპარავი ამნაირად ისჯება: იმას მუდამ ჰკიდია მიწით სავსე გოდორი და გაუჩერებლივ უნდა ირბინოს. საზღვრის პატრონის გარდა ყოველის მიცვალებულის სული მოვალეა დაარტყას მიწით სავსე გოდორს ჯოხი, რომ მიწა გამოაყრევინოს. ამ ცოდვის ჩამდენმა სულმა სულ უნდა ირბინოს, რომ სადმე არ შეჩერდეს; სხვები ერეკებიან, რომ არ შეისვენოს. ამ ცოდვისაგან ხსნა ადვილი საქმეა. საჭიროა სული სიზმარში ან ცხადში (რის მაგალითებიც ბევრი გაგვიგონია) გამოეცხადოს ჭირისუფალს, ან გარეშე ვისმე და გააგებინოს თავისი ცოდვა. ჭირისუფალი მაშინვე უსწორებს საზღვარს იმ კაცს, რომლის მიწაც მიითვისა მიცვალებულმა. ამით იმისი სული დაიხსნება ტანჯვისაგან. ცოდვად ითვლება ქურდობა, მრუშობა, ცილის წამება, პირუტყვის ცემა-დამშევიწება, ნამუშევრის წახდენა, უქმე დღეებში მუშაობა, უმწეო ადამიანის დაჩაგვრა და გაჭირების დროს არ-შველა, დიდმარხვის გატება და სხვა... სასჯელი ამ და მსგავსი ცოდვებისათვის ისეთი მსუბუქია, რომ სვანებს აღარ აშინებს. მოხსენებულ ცოდვების ჩამდენი კაცი საიქიოს იმითი ისჯება, რომ ქრისტესთან ახლო მისვლა და იმის აუღებელ ტაბაკთან ჯდომა არ შეუძლიან, საკურთხი კი მოსდით და სასულეთის განაპირას სადგურობენ.

*მასალა აღებულია ბესარიონ ნიჟარაძის წიგნიდან
„ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ ტ.1. თბილისი: 1962*

ერთი ტრადიციული რიტუალი

ბარბარობის ტრადიცია საქართველოში

ბარბარობა ქრისტიანული დღესასწაულია და 4(17) დეკემბერს აღინიშნება. ფინიკიის ქ. ილიოპოლისის მდიდარი და წარჩინებული მოქალაქის, დიოსკორეს მშვენიერი ქალიშვილი ბარბარე (შემდგომში წმინდა დიდმოწამედ ცნობილი) იმპერატორ მაქსიმიანეს დროს (305-311წწ.) ცხოვრობდა და ეწამა.

წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილებზე მრავალ ქვეყანაში აიგო ტაძარი, სადაც ხალხი წმინდანს ინფექციური დაავადებებისაგან, შავი ჭირისაგან განკურნებას, უეცარი სიკვდილისაგან, მეხისა და ცეცხლისაგან თავის დაცვას სთხოვდა. ასევე იყო ჩვენშიც.

წმ. ბარბარე და ბარბარობის დღესასწაული საქართველოში ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთანაა დაკავშირებული. წმინდა ბარბარეს საქრისტიანოში ბავშვთა მფარველად და შემწედ, ასევე საქონლის მკურნალადაც მიიჩნევენ.

ბარბარობა, დასავლურ ქართული ტრადიციით, დღესასწაულების დასაწყისი იყო. სვანეთში მას ბარბოლ/ბარბლაშს ეძახიან. სვანეთში დღესასწაულის წინა ღამეს ახალგაზრდები, ძველად კი

მოხუცები, ეკლესიის ეზოში წინასწარ მომარაგებული შეშით ანთებდნენ დიდ კოცონს და შუალამედე ამ ცეცხლთან ატარებდნენ დროს და ილხენდნენ.

სამეგრელოში მიაჩნდათ, რომ ამ დღის მზე ერთი ნაბიჯით უკან ხტებოდა და იწყებოდა დღის გადიდება. ხალხის რწმენით, რა დღესაც ბარბარობა მოდის, იმ დღეს ემთხვევა ახალი წელი და სხვა „ბედნიერი“ დღეები.

თითქმის მთელ საქართველოში ბარბარობას ოჯახში მეკვლე მოდიოდა. ეს ბედობის დღე იყო. ხალხი უქმობდა, ზოგან რამდენიმე დღესაც კი. ვინაიდან ეს დღე ბედობის დღე იყო, ხალხი ერთმანეთთან სტუმრობას ერიდებოდა.

რაჭასა და ლეჩხუმში აუცილებლად უნდა გამოეცხოთ სართვიანი ტაბლა (გულიანი რიტუალური პური), რადგან გავრცელებული რწმენის მიხედვით, ბარბარობა დღეს უსართვო/გულცარიელი ე. ი. უნიგვზოდ, უკვახისგულოდ ან ულობიოდ გამომცხვარი ტაბლა მთელი წლის მანძილზე ოჯახში სიცარიელეს, უბარაქობას მოასწავებდა.

იმის გამო, რომ ბარბარობა მარხვას ემთხვეოდა, სადღესასწაულო სუფრა სამარხვო საჭმელებისაგან შედგებოდა. ამ დღისთვის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რიტუალური პურები ცხვებოდა: სართვიანი (ლობიანი პურები), ჯვარსახიანი განატეხი (ლობიანი), ნიგვზიანი განატეხი, კვახკაკლიანი პურები, საბარბარო ტაბლა (რიტუალური პური)...

ამ დღეს ლობიანი ყველგან უნდა გამომცხვარიყო, თუმცა სვანეთში რძის ფაფა კეთდებოდა და ყველიანი პურებიც ცხვებოდა. რადგანაც ბარბარობა ბედობის დღედ მიაჩნდათ, იმ დღეს იცოდნენ მეკვლეობა. მეკვლე (ახალი წლის მსგავსად) იყო როგორც შინაური, ასევე გარეშე. შინაური მეკვლე აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო, გარეშე კი შეიძლება ყოფილიყო კაციც, ქალიც და ბავშვიც. მთავარი იყო ის, რომ მეკვლეს კარგი ფეხი ჰქონოდა. თუ მეკვლე ფეხბედნიერი გამოდგებოდა, ოჯახი შემდეგ წელსაც მას მიიწვევდა.

სვანეთში ეს დღე საქონლის, კერძოდ კი ძროხის და წველადობის მომატებისათვის იყო განკუთვნილი, რაჭასა და ლეჩხუმში კი საქონლის, ქათმის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ასევე ნათესების სიუხვისათვის. სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში იგი ქათმების ფერხვის (მეკვლეობის) დღე იყო.

გურიაში ბარბარობა ექიმბაშ ქალთა დღესასწაული იყო. ხალხის რწმენით წმინდა ბარბარე სიცოცხლეში თავად კურნავდა ავადმყოფებს. ექიმბაშ ქალებს იგი თავიანთ მფარველად მიაჩნდათ და ხშირად მიმართავდნენ დახმარებისთვის. ამ დღეს ისინი ლოცულობდნენ და წმინდანს შესთხოვდნენ, რომ მათ წამლებს ავადმყოფების განკურნება შეძლებოდათ.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში აცხობდნენ ნიგვზის გულიან ქადეებს, რომლებიც გზაჯვარედინზე გაჰქონდათ, ჭრიდნენ და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდნენ, რომ ბავშვებს ინფექციური დაავადებები მშვიდობიანად მოეხადათ. ოჯახში იშლებოდა სუფრა, ანთებდნენ სანთლებს, ზოგი შვიდი ანგელოზის სახელზე შვიდ კაკალს ჩააგდებდა ცეცხლში, ზოგიც ხატისთვის დიდ ქადას გამოაცხობდა. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში მისული მლოცველი მამალს შეაფრენდა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ბარბარობის დღესასწაული საქართველოში წარმოადგენს ქრისტიანული სარწმუნოების, ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციების სინთეზს. წმინდა ბარბარეს კულტის გავრცელებამ ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა: იგი მჭიდროდ დაუკავშირდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას, ინფექციური დაავადებებისგან განკურნების იმედსა და ოჯახური კეთილდღეობის იდეას. დღესასწაულის რიტუალები - მეკვლეობა, რიტუალური პურების გამოცხობა, ცეცხლთან დაკავშირებული პრაქტიკები, საკრალური მოქმედებები გზაჯვარედინზე თუ ეკლესიაში - ასახავს არქაულსა და ქრისტიანულ შრეებს შორის არსებულ უწყვეტ კავშირს. ამავდროულად, რეგიონული თავისებურებები (სვანეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და აღმოსავლეთ საქართველო) ცხადყოფს, რომ ბარბარობა ერთიანი იდეის ფარგლებში მრავალფეროვანი ლოკალური ფორმებით რეალიზდება.

ბარბარობის, როგორც „ბედობის დღის“ აღქმა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ფუნქციურ დატვირთვას: იგი არა მხოლოდ რელიგიური დღესასწაულია, არამედ მომავლის სიმბოლური განსაზღვრისა და სოციალური წესრიგის განმტკიცების მექანიზმიც. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეკვლეობის ინსტიტუტს, რომელიც კოლექტიურ ცნობიერებაში იღბლის, ბარაქისა და კეთილდღეობის მატარებლად მოიაზრება.

ამრიგად, ბარბარობა ქართულ ტრადიციულ კულტურაში გვევლინება როგორც მრავალშრიანი ფენომენი, სადაც რელიგიური რწმენა, სამკურნალო პრაქტიკა, აგრარული მაგია და სოციალური ურთიერთობები ერთიან სისტემად არის შეკრული. მისი კვლევა მნიშვნელოვანი წყაროა როგორც ეთნომუსიკოლოგიური, ისე ეთნოლოგიური და კულტუროლოგიური ანალიზისთვის, ვინაიდან იგი ნათლად წარმოაჩენს ტრადიციული საზოგადოების მსოფლმხედველობრივ მოდელს და მის ტრანსფორმაციას თანამედროვე პირობებში.

*მასალა აღებულია ნინო ღამბაშიძის წიგნიდან
„ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები“.
საკითხავნი ყმაწვილთათვის. ტ.24. თბილისი: 2011*

გთავაზობთ სვანურ საკულტო-რიტუალურ სიმღერას „ბარბალ დოლაშ“.

გამიფრულია ეთნომუსიკოლოგ ლევან ვეშაპიძის მიერ

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების

ლაბორატორიის საარქივო მასალიდან.

ბარბალ დოლაშ

სვანური

Barbal Dolash

Svan

ბა - რი - ბალ - სი დო - ი - ვა ლა - ში - ვო - ი

ო დი-დე-ბა ღვი ვა - ი, ბა - რი-ბალ - სი დო - ი - ვა ლა - ში - ვო - ი

o di-de-ba ghvi va - i, ba - ri - bal - si do - i - va la - shi - vo - i

იაჯ-ხა - დი ვო ი - ი - მე - ი სგვე - ი - ვა ჯი - ღვი ვო - ი,

უ, ი - ი - მე - ი სგვე - ი - ვა ჯი - ღვი ვო - ი,

ა, ი - ი - მე - ი სგვე - ი - ვა ჯი - ღვი ვო - ი,

iaj-kha - di vo i - i - me - i sgve - i - va ji - ghvi vo - i,

ლაშ-ხრა - ში ვო ლა - ში - ხრა - ში ჯო - ი - ვა ბან - სი ვო - ი

უ, ლა - ში - ხრა - ში ჯო - ი - ვა ბან - სი ვო - ი,

ა, ლა - ში - ხრა - ში ჯო - ი - ვა ბან - სი ვო - ი,

lash-khra - shi vo la - shi - khra - shi jo - i - va ban - si vo - i

ლი-მზუ - რი ვო ლი - მუ - ზუ - რი ჯო - ი - ვა და - ხი - ვო - ი

ო,
ო,

ლი - მუ - ზუ - რი ჯო - ი - ვა და - ხი - ვო - ი

li - mzu - ri vo li - mu - zu - ri jo - i - va da - khi - vo - i

ზეი-და - ში ვო ზე - ი - და - ში სო - ი - ვო ლომ-დი - ვო - ი

ო,
ო,

ზე - ი - და - ში სო - ი - ვო ლომ-დი - ვო - ი

zei-da - shi vo - ze - i - da - shi so - i - vo lom - di - vo - i

ლაჯ-ძღვე - ნი ვო სე - ფის - კვე - რი ლა - ი - ვა მა - რი - ა - დი

უ,
ა,

სე - ფის - კვე - რი ლა - ი - ვა მა - რი - ა - დი

laj-dzghve - ni vo - se - pis - k've - ri la - i - va ma - ri - a - di

იაჯ-ხა - დი ვო ეე-ჩუ-ნო-ში ლა-ი ვა მზა-ი-ვო-ი, დი-დე-ბა ღვი ვო!

ო,
ო,

ეე-ჩუ-ნო-ში ლა-ი ვა მზა-ი-ვო-ი,

iaj-kha - di vo - ie-chu-no-shi la - i va mza-i - vo - i, di-de-ba ghvi vo!

რედაქტორი:

მაკა ხარბიანი

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ტმკსც-ის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2026

eISSN–1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2026 წლის დეკემბერში